

619 /
1988/2

ISSN 0130-1624





ქართული
ლიბრეოთეკა

ფერმა

03 ღ 06 0
№ 7 1988

42
619/2





ჩემი ბაბუას წიგნი.

ფოტო იოსებ დავითაშვილისა.



აღმასვლა

საქართველო
საბჭოთა კავშირი

ასე დაიწყო იგი საგურამოს საბჭოთა მეურნეობაში

იძლება თითოეული ცენტნერი ხორცის და რძის წარმოება სამჯერ უფრო ძვირი დასჯდომოდეთ: სამაგიეროდ „ობიექტური“ მიზეზების მოშველიება იცოდნენ მარჯველ.

ასეთ პირობებში გარდაქმნა, ამ სიტყვის სრული გაგებით, სწორედ რომ საუკეთესო სამკურნალო საშუალებაა და უკვე დროა, ახლებურად ვიანზოვნოთ და ვიმუშაოთ. გარდაქმნის კვალობაზე შრომის მეცნიერული ორგანიზაციის მრავალი ახალი ფორმა გაჩნდა და დამკვიდრდა ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში — ბრიგადული, საოჯახო, ინდივიდუალური იჯარები, კოოპერატივები თუ არენდა.

მცხეთის რაიონის საგურამოს მეზობტნეობის საბჭოთა მეურნეობა წლების მანძილზე ქრონიკულად ჩამორჩებოდა. ამ მეურნეობაში არც ერთი დარგი არ იყო რენტაბელური. გეგმების შესრულებაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა: აქ ისე მოშლილიყო სამეურნეო მექანიზმი, რომ 1986 წელი ორი მილიონი მანეთის ზარალით დამთავრდა. ფაქტობრივად მეურნეობა დამლამდე მივიდა.

განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობაში იყო მეცხოველეობა. მსხვილფეხა პირუტყვის ფერმაში 76 კაცი მუშაობდა (რა თქმა უნდა, თუ იმას მუშაობა ერქვა), საქმისადმი არაფერ იჩენდა სიყვარულსა და ერთგულებას. ხშირი იყო პირუტყვის დაცემის და იძულებითი დაკვლის შემთხვევები; ასევე დაბალი იყო შრომის ნაყოფიერება. ვერ სრულდებოდა რძისა და ხორცის წარმოების და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმები, იზრდებოდა წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება.

1985 წელს 382 სული მსხვილფეხა პირუტყვი ჰყავდათ, მომდევნო 1986 წელს ეს ციფრი 86-ით შემცირდა.

1985 წელს გეგმიური 25 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს ძლივს მიყიდეს 6 ტონა ხორცი. თან მისი წარმოებაც მამასისხლად უჭდებოდათ.

ანალოგიური მდგომარეობა იყო რძის წარმოებაშიც: 200 ტონის ნაცვლად ძლივს ჩამოწვევს 119 ტონა. მიუხედავად იმისა, რომ ველის წითელი ჯიშის პირუტყვი ჰყავდათ, თითოეულ ფურზე 1256 კილოგრამი რძის მეტი ვერ მიიღეს. თან რაც აწარმოეს, როგორც ეს მოსალოდნელიც იყო, ისიც ძალიან ძვირი დაუჯდათ.

აი, ასეთი სავალალო მდგომარეობა სუფევდა საგურამოელთა მეცხოველეობის

ფერმაში და რა დასამალია, არც ჰქონდათ მისი გამოსწორების იმედი.

ამ ამბავმა სერიოზულად დააფიქრა მცხეთის აგროსამრეწველო გაერთიანების ხელმძღვანელობა. ისინი იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ აუცილებელი იყო ხელმძღვანელობის შეცვლა, რომელიც ძირფესვიანად გარდაქმნიდა მეურნეობის მთელ საქმიანობას.

მალე პრაქტიკულად გადაიდგა პირველი ნაბიჯი: საგურამოს მეზობტნეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორად დაინიშნა აკაკი ულენტი, რომელსაც წაღმა უნდა შემოეტრიალებინა მეურნეობის ჩარხი, რაც, ცხადია, ადვილი არ იყო. ეს თვით ახალმა დირექტორმაც ძალიან კარგად იცოდა. სწორედ ამიტომ შემოიკრიბა გარშემო საქმისადმი უღალატო ადამიანები, რომლებსაც სწამდათ გარდაქმნის შედეგები და შეეძლოთ ახლებურად მიდგომა.

ერთ-ერთი ასეთი პიროვნება ვახლავთ ავთანდილ რაზმაძე, რომელიც სოფლის მეურნეობის საჭირობოტო პრობლემებში ძალიან კარგად ერკვევა. ამ კაცმა ითავა ყველაზე ძნელი საქმი — მეურნეობაში ერთიორად და მეტად გაედიდებინა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება, მინიმუმამდე შეეცდებინა დანახარჯები და ამრიგად მეცხოველეობის გაპარტახებული ფერმა უმოკლეს დროში რენტაბელური გაეხადა.

ვინც მეცხოველეობის პრობლემებში კარგად ერკვევა, ის ადვილად დაგვეთანხმება, რომ ამ ამოცანის ასე იოლად გადაჭრა ძალზე ძნელი კი არა, თითქმის შეუძლებელიცაა, მაგრამ ავთანდილ რაზმაძემ ესეც შესძლო.

ამ კაცმა მეურნეობის ხელმძღვანელობას წარუდგინა თავისი წინადადებები, რომელთა აზრი დაახლოებით ასეთია: არენდით გადაეცათ მისთვის მეცხოველეობის ფერმა, საკვების წარმოებისათვის მიწა და ტექნიკა, აგრეთვე ის ფულადი სახსრები, რომელიც გამოყოფილი იყო მეცხოველეობის ფერმისთვის. მიეცათ უფლება, რომ ფერმა თავისი შეხედულებებისამებრ დაეკომპლექტებინა მუშაკებით. ამის სანაცვლოდ ის ვალდებულიება იღებდა, რომ პირუტყვის სულადობას 256-დან 420-მდე გაზრდიდა. ასევე გაზრდიდა პროდუქციის წარმოებას, შეამცირებდა თვითღირებულებას, ერთიორად გააღიღებდა ფერმის მუშაკთა შრომის ანაზღაურ-

ერთ-ერთი მოწინავე კოლმეურნეობის ენამოსწრებულმა თავმჯდომარემ ერთხელ საკმაოდ მაღალი ტრიბუნიდან ხმადაღმა განაცხადა: კოლმეურნეობა თუ არარენტაბელურია და სახელმწიფოსაგან გამოყოფილი სახსრებით არსებობს, ამასაც უშრომელი შემოსავლით ცხოვრება ჰქვიაო!

არარენტაბელური კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ერთ დროს ისე მომარაგლდა ჩვენს რესპუბლიკაში, რომ რენტაბელური მეურნეობები თითებზე ჩამოსათვლელი ვაზნა. ის კი არა, არარენტაბელური მეურნეობები კანონზომიერადაც კი თვლიდნენ სახელმწიფოსაგან ფულადი სახსრების მიღებას. უფრო მეტიც, უკმაყოფილებასაც კი გამოთქვამდნენ, თუ იმდენ თანხას არ გამოუყოფდნენ, რამდენსაც მოითხოვდნენ. ხოლო ვალის გადახდაზე თავს არ იწუხებდნენ იმ იმედით, რომ გრძელვადიან სესხს ბოლოს და ბოლოს ჩამოაწერდნენ, როგორც ეკონომიკურად სუსტსა და უიმედო გადამხდელს.

რა დასამალია, ამნაირ მეურნეობათა ხელმძღვანელები მიეჩვივნენ სახელმწიფოს ხარჯზე ცხოვრებას და არსებობას. ამიტომ თავს აღარ იტყვიებდნენ პროდუქციის წარმოების გეგმების შესრულებაზე. გაჩნდნენ უფრო „მოხერხებული“ მეურნეობათა ხელმძღვანელებიც, რომლებიც ყველა საშუალებით ცდილობენ, ხელმძღვანელობა დაარწმუნონ, რათა დაბალი გეგმები დაუდგინონ. მათი ლოგიკით ეს „ხელსაყრელი“ თვითონ რაიონისთვისაც, რადგან პატარა გეგმებს ადვილად დასძლევენ სუსტი მეურნეობები და რაიონი საერთო ფონზე მოწინავეთა რიგებში აღმოჩნდება. საქმი ხშირად კურობიზებამდე მიდიოდა: ამ შემცირებულ გეგმებსაც ვერ ასრულებდნენ.

ზოგიერთი არც იმაზე ფიქრობდა, პროდუქციის რა ფასად აწარმოებდნენ შე-

რებას, გადაჭარბებით შეასრულებდა რძისა და ხორცის წარმოების გეგმებს. ოღონდ ერთი პირობით: გეგმის ზევით წარმოებული პროდუქციის 80 პროცენტს ითხოვდა ფერმაში დასაქმებულთა წასახალისებლად.

მეურნეობის ხელმძღვანელობა, რა თქმა უნდა, თანახმა იყო, ვინაიდან მანამდე ფული ბლომად იხარჯებოდა, გეგმები კი სანახევროდაც ვერ სრულდებოდა.

ავთანდილ რაზმაძის წინადადება განიხილეს რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანებაში და იქაც მოიწონეს.

გაფორმდა ორმხრივი ხელშეკრულება მეურნეობასა და ავთანდილ რაზმაძეს შორის.

და დაიწყო საგურამოს მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში მეცხოველეობის ფერმის საქმიანობის აღმასვლა.

მაინც რა მოხდა? როგორ გარდაქმნა ფერმის მუშაობა ავთანდილ რაზმაძემ?

პირველ რიგში ფერმის მუშაკთა სამოცდათექვსმეტკაციანი კოლექტივი 24 კაცამდე დაიყვანა და ფერმის თითოეული მუშაკის ყოველთვიური გამომუშავება სამჯერ და მეტად გაზარდა. ფერმის შენობაზე თვალსაჩინო ადგილას გააკრა ლოზუნგი — „გეგმის ზევით წარმოებული პროდუქციის 80 პროცენტი ჩვენია!“ ამ წარწერას კანონის ძალა გააჩნია. ამაში პრაქტიკულად დარწმუნდნენ მეცხოველეები. ამიტომ ახლა ყველა მათგანი ყოველფეხის ნაბიჯზე ცდილობს, თავიდან აიცილოს ზედმეტი ხარჯები, რადგან იციან, რომ დანაზოგი თანხა მათ გაუნაწილდებათ. ფერმის მუშაკები თვითონვე არიან ვეტეკიმებიც, ზოოტექნიკოსებიც, მძღოლებიც, მექანიკოსებიც, ელექტრომონტიორებიც და მწველავეებიც.

მიწასაც თვითონ ამუშავენ, პირუტყვის საკვებსაც თვითონ ამზადებენ. ახლა ყველა ერთნაირადაა დაინტერესებული, რომ პირუტყვის საკვები საკმარისი და მაღალხარისხოვანი იყოს, რადგან სწორედ საკვებზეა დამოკიდებული რძის წველადობის გადიდებაც, წონამატისა და ნამატის მიღება-შენარჩუნებაც.

მართალია, ახლა გეგმებს ერთიორად ასრულებენ საგურამოელი მეცხოველეები, მაგრამ ავთანდილ რაზმაძეს რომ ჰკითხოთ, ესეც ეცოტავენ. მათი უახლესი მიზანია თითოეული ფურის წველადობა 1200-დან გაზარდონ 7000-8000 კილოგრამამდე. ცხადია, ამის შესაბამისად გაიზრდება ფერმის მუშაკთა შრომის ანაზღაურებაც.

ჰქვია თუ არა ამას გარდაქმნა?

რასაკვირველია, ჰქვია!

საგურამოელთა გამოცდილებამ უცებ მიიქცია საზოგადოების ყურადღება. მიმდინარე წლის მარტში პარტიის მცხეთის რაიკომმა და აგროსამრეწველო გაერთიანებამ ურჩიეს რაიონის მეურნეობათა ხელმძღვანელებს, სპეციალისტებს, ადგილზე გასცნობოდნენ საგურამოელთა გამოცდილებას. ამ მიზნით ჩატარდა კიდევაც პრაქტიკული კონფერენცია. მალე რაიონის ფარგლებსაც გასცდა ამ სიანლის ამბავი და ახლა ვინ იცის, საიდან არ ჩადიან საგურამოში მეურნეობათა ხელმძღვანელები, სპეციალისტები, რათა დაწვრილებით გაეცნონ და გადაიღონ მათი გამოცდილება.

ვლადიმერ კოზაკელი



ბრიგადის წევრები (მარცხნიდან მარჯვნივ) გოგიძე ელისო, ილურიძე ანო, ინაშვილი ეკატერინე, გუცაევი მზია.




ავთანდილ რაზმაძე. ტრაქტორისტები კონქაძე და სულაშვილი.



მეურნეობაში.

ფოტო ბონდო დვალისხილისა.



ირაკლი მღებრიშვილი, გიორგი ჩოგოვაძე და ნოდარ ემუხვარი ენგურჭვის მშენებლობაზე. 1975 წ.

თავმჯდომარის მოადგილე, 1957-1963 წლებში — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე, 1963-1970 წლებში — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე. ეს, ასე ვთქვათ, მისი მოღვაწეობის პირველი დიდი მონაკვეთია, რომელსაც მოსდევს მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი და შინაარსიანი პერიოდი — 1970 წლიდან ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორობა.

ბესარიონ ჭიჭინაძის ბახსენება

— ბატონო გიორგი, სასიამოვნო ფაქტია, რომ სათანადოდ დაგიფასებიათ საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის გამოჩენილი მოღვაწეები მათდამი მიძღვნილი წიგნებით — ჰიდროტექნიკის ბესარიონ სარდოიანის ძე ერისტოვი (ერისთავი), სოციალისტური შრომის გმირი ნიკოლოზ მიხეილის ძე ესაკია, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მიხეილ აბრამის ძე მოსტკოვი, ინჟინერ-ჰიდრომშენებელი და საზოგადო მოღვაწე პროფესორი ბესარიონ ალექსის ძე ჭიჭინაძე.

— ელექტროენერგეტიკის პიონერებს, ანუ მესაძირკვლეებს თუ გაეიხსენებთ და საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების გარდასაქმნელად გაწეულ უზარმაზარ სამუშაოს, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი რესპუბლიკა, რომელიც მანამდე ჩამორჩენილი სოფლის მეურნეობითა და პრიმიტიული მრეწველობით ხასიათდებოდა, მოკლე ხანში დაადგა ეკონომიკური აღორძინებისა და ინდუსტრიალიზაციის გზას წყლის რესურსების გამოყენების ბაზაზე. ამ წარმატებაში დიდი ღვაწლი მიუძღვით საქართველოს ინჟინერ-ენერგეტიკოსებს, რომელთა შორის პირველი ადგილი დამსახურებულად ეკუთვნის გამოჩენილ ქართველ ინჟინერს, მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს ბესარიონ ჭიჭინაძეს.

— ალბათ, ამჯერად აჯობებს, ბესარიონ ჭიჭინაძით შემოვიფარგლოთ და დაბადების მესამე წლისთავთან დაკავშირებით გავიხსენოთ მისი ცხოვრება და განსაკუთრებული დამსახურება. — მე მას პირადად ვიცნობდი, ვისმენდი მის ლექციებს და

გეგმა სინათლე

შურნალ „დროის“ საზოგადოებრივ-პოლიტიკური განყოფილების რედაქტორი ოთარ ბერიშვილი ესაუბრა საპარტიალო ურომის წითელი დროის ორდენისანი ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკის ნაგებობათა საინჟინერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორს, საპარტიალოს სსრ დამსახურებულ ინჟინერს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საპარტიალოს სსრ სახალხო მოღვაწის ლაურეატს, სსრ კავშირის საპატიო ენერგეტიკოსს, მინერალური რესურსების მოღვაწეს, ტექნიკურ მშენებლობათა დოქტორს, პროფესორს გიორგი ირაკლის ძე ჩოგოვაძეს.

რამდენიმე ბიოგრაფიული ცნობა.

მამა რკინიგზელი ჰყავდა — ორთქმავლის მემანქანე, დედა — ოჯახის დიასახლისი. დაიბადა 1907 წლის 8 იანვარს შორაპანში (ზესტაფონის რ.).

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტექნიკური ფაკულტეტი, შრომითი საქმიანობა რიონჭესზე, ინჟინერ-ელექტრომექანიკოსის დიპლომი და კვალიფიკაციის ამაღლება იმ დროისათვის საბჭოთა კავშირში ყველაზე დიდ ლენინის სახელობის დნეპროპეტროვსკის მშენებლობაზე.

შემდეგ რიონჭესი, ხრამჭესი, სოხუმჭესი, ორთაქალაქისი... მტკვრის სანაპიროების გამაგრებამ, დაგუბებამ და 1954 წელს ორთაქალაქის ამუშავებამ საგრძნობლად გააუმჯობესა დედაქალაქის სანიტარულ-ჰიგიენური პირობები, რასაც მანამდე მუდმივად უმუქრებოდა მდინარის წყლის მინიმუმამდე შემცირება ზაფხულისა და ზამთრის თვეებში.

ზოგიერთმა იქნებ არც კი იცის, თუ რა თვალსაჩინოა გიორგი ჩოგოვაძის დამსახურება ამ საქმეში.

და მაინც ვაოცებას იწვევს, თუ საიდან და რატომ გავრცელდა „ორთაქალაქური ჭორი“, რომ აქ წამოვიძლია ელექტროსადგურის აგებისთანავე „ჩაქრა“. ამაზე ბატონი გიორგი თავშეკავებულ საყვედურს გამოთქვამს და გვიდასტურებს, რომ ორთაქალაქის ყოველწლიურად იძლევა პროექტით გათვალისწინებულ 80 მილიონ კილოვატსაათს.

1956-1957 წლებში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

არ შემიწყვეტია მეგობრობა, მისვლა-მოსვლა, მიმოწერა მის შვილებთან, რომლებიც ამჟამად მოსკოვში ცხოვრობენ, მაგრამ არ ივიწყებენ მამისეულ მშობლიურ სოფელ ჭოლვეს (წყალტუბოს რ.), სადაც ზაფხულობით ჩამოდიან ხოლმე დასასვენებლად. უფროსი ვაჟი — ალექსი ბესარიონის ძე ჭიჭინაძე რსფსრ სახალხო არტისტი და საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ცნობილია, როგორც გამოჩენილი ბალეტმეისტერი არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, მეორე ვაჟი — ავთანდილ ბესარიონის ძე ჭიჭინაძე, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი — მანქანათმშენებლობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიის ხელმძღვანელია.

— სასიამოვნოა, რომ სახიკაძულეო მამის ღირსეული შვილები წარუდგინეთ მკითხველს, ახლა უფრო დაწვრილებით თავად მის შესახებ.

— იგი დაიბადა 1887 წლის 8 მაისს თბილისში, ცნობილი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის ალექსი ბესარიონის ძე ჭიჭინაძის ოჯახში, სადაც სამშობლოს, მშობელი ხალხის სამსახური ყოფილიყავის ნორმად ითვლებოდა. დედამისი — ეფროსინე იაკობის ასული ნიკოლაძე ცნობილი ქართველი პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის და იყო. მისგან მიიღო ბესარიონმა დაწყებითი განათლება. ბავშვობა სოფელ ჭოლვეში გაატარა. მამის სამსახურის კვალდაკვალ სწავლობდა ვლადიკავკაზის (ახლანდელი ორჯონიკიძის), ქუთაისისა და ერევნის გიმნაზიებში. უმაღლეს განათლებას იღებს პეტროგრადში, სადაც მასთან ერთად მიემგზავრება და სწავლობს მისი ბიძაშვილი გიორგი ნიკოლაძე (შემდგომში გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, ინჟინერ-მეტალურგი, ცნობილი ალბინისტი). ბესარიონიც სტუდენტობის წლებიდანვე კარგი სპორტსმენი იყო (ცურვა, ციგურაობა, ჭადრაკი). მისი შრომითი საქმიანობა თავიდანვე, თუმცა არასპეციალობით, მაგრამ წარმატებით დაიწყო თურქესტანში ბუხარის რკინიგზის მშენებლობაზე, შემდეგ ჯერ ტრაპიზონის რკინიგზის მშენებლობის უფროსი ინჟინერა, მერე ქ. ბათუმის საქალაქო საბჭოს მთავარი ინჟინერი. 1917 წლიდან კახეთის რკინიგზის მშენებ-



ბაგრატ მიქელაძე და ბესარიონ ჭიჭინაძე ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე. 1925 წ.

ლობაზე მუშაობს ტექნიკური განყოფილების უფროსად. 1918 წლიდან ამ რკინიგზის უფროსია. კიდევ ერთი წელიც და გზათა დეპარტამენტის დირექტორია.

1922 წელს დაიწყო საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი პირველი პესის მშენებლობა ზემო ავჭალაში. აქ გადაწყვეტი მონაწილეობა მიიღო ბესარიონ ჭიჭინაძემ. მისმა ბრწყინვალე ორგანიზატორულმა უნარმა, დიდმა ინჟინრულმა გამოცდილებამ და ღრმა ცოდნამ წამყვანი როლი შეასრულა საქართველოს ჰიდროენერგომშენებლობის პიონერის — ზაპვისის დაბადებაში. თვითონ იყო ჰკვიანი და გამჭრიახი ხელმძღვანელის კლასიკური მაგალითი. არავის ახვევდა თავის აზრებს, ამა თუ იმ ვარიანტის უპირატესობას რომ ამტკიცებდა, სრულ ობიექტურობასაც ინარჩუნებდა და შეეძლო თავისი შეცდომების აღიარებაც.

ზაპვისის პირველი რიგი—ოთხი ტურბინა 1927 წელს ამუშავდა, ეს იყო დიდი ზეიმი. სწორედ ამ დღეთა მოსაგონებლად და ბესარიონ ჭიჭინაძის სადიდებლად დგას მისი ძეგლი ზაპვისის ტერიტორიაზე.

შემდგომში მის სახელთან არის დაკავშირებული ბევრი მნიშვნელოვანი მშენებლობა, რომელთა გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა ქვეყნის გარდაქმნა-განვითარება: რიონჰესი, სურამის საულელტენილო რკინიგზის ელექტრიფიკაცია, ელექტროგადამცემის ფართო ქსელი, ზესტაფონის ფერომანგანუმის ქარხანა (ამ ქარხანასთან დაკავშირებით ორჯერ იყო საზღვარგარეთ).

ბესარიონმა თავი გამოიჩინა როგორც მეცნიერ-პედაგოგმა,

მეცნიერებისა და ახალი ტექნიკის პოპულარიზატორმა. დიდი წვლილი მიუძღვის საინჟინრო-ტექნიკური კადრების აღზრდაში. მან თავის გარშემო შემოიკრიბა ნიჭიერი ჰიდრომშენებლები და ინჟინრები ი. მელიქ-ფაშაევი, ბ. მიქელაძე, ა. ჩიქოვანი, დ. სენაბხელიძე, ალ. ლოსაბერიძე, ა. ვასილევნი, პ. კოსოვსკი, ა. მუსხელიშვილი, გ. ხუნდაძე, ს. შანშიევი, ნ. ლეჟავა, ვ. კოყევიკოვი, გ. სარაჯიშვილი...

ცნობილ მოღვაწეებთან ერთად, რომელთა შორის იყვნენ ა. ბენაშვილი, გ. ნიკოლაძე, ნ. მუსხელიშვილი, ა. დიდებულოძე, ნ. თულაშვილი, რ. ნიკოლაძე, ვ. კაკაბაძე, გ. მუხაძე, ლ. დიასამიძე და სხვები, ბესარიონ ჭიჭინაძე გახლდათ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი. დიდი აღრფთოვანებითა და პასუხისმგებლობის გრძნობით მუშაობდა იგი ინსტიტუტში ჯერ ლექტორის, ხოლო 1928 წლიდან პროფესორის თანამდებობაზე. მის ლექციებს დიდი წარმატება ჰქონდა.

ბესარიონ ჭიჭინაძეს პირადად 1928 წელს გავეცანი ჯერ კიდევ სტუდენტობისას და შემდეგ, უფრო ახლოს რიონჰესის მშენებლობაზე. იგი წარმოსადეგი გარეგნობის, უაღრესად სიმბათიური პიროვნება გახლდათ. ჩვენ, ახალგაზრდა სპეციალისტებს, გვაოცებდა მისი დაუოკებელი ენერჯია, მიზანსწრაფვა, რთულ სიტუაციაში სწრაფად გარკვევისა და სწორი გადაწყვეტილების მიღების უნარი. პირადი წყენა და უსიამოვნება შეუთავსებელი იყო მის გულშია ხასიათთან. ბესარიონის განსაკუთრებული გულშემატკივრობა პირველი გაცნობისთანავე ინაღორებდა ალამიანის გულს და განაწყობდა უსაზღვრო ნდობისათვის. მის მიერ აღზრდილი ინჟინრების მთელი პლეადა დღეს წარმატებით იღვწის ენერჯეტიკის სფეროში, საპროექტო, საექსპლუატაციო, სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებში და მშენებლობებზე. ბევრი მათგანი ამჟამად ცნობილი მეცნიერი და ინჟინერია.

1934 წელს ბესარიონ ჭიჭინაძე სამუშაოდ გადაჰყავთ მოსკოვში სსრკ მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატში და ინიშნება საკავშირო საპროექტო ტრესტის „ჰიდროენერგოპროექტის“ მმართველად და მთავარ ინჟინრად. ამასთან, როგორც პროფესორი, მუშაობს მოსკოვის საინჟინრო-სამშენებლო ინსტიტუტში, არის ჰიდროტექნიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს, სსრკ მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის სახელმწიფო საკვალიფიკაციო კომისიის წევრი, სსრკ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ექსპერტი ვოლგა-მოსკოვის არხზე, რიბინსკისა და უგლიჩის ჰიდროკვანძებზე, ტულის ჰიდროსადგურში.

— ძალზე გულსატკენია და დასანანი, რომ ეს დიდებული მეცნიერი და მოღვაწე 1937 წელს ორმოცდაათი წლის ასაკში ტრაგიკულად დაიღუპა. იგი სწორედ მაშინ გახდა რებრესიების მსხვერპლი, როდესაც საბჭოთა ქვეყანას ასე ძალიან ესაჭიროებოდა განათლებული და ერუდირებული ინტელიგენცია.

— მიძიეა ახლა ამის გახსენება, თუმცა კონკრეტულად ვერაფერს ვიტყვი იმაზე, თუ რატომ, როგორ და რა პირობებში დატრიალდა ეს ტრაგედია მოსკოვში.

ბესარიონ ჭიჭინაძეს ჰყავდა შესანიშნავი მეუღლე — ცხოვრების ერთგული თანამგზავრი და თანაშემწე ზინაიდა ალექსანდრეს ასული დეკონსკაია. მან დიდი შრომა მოახმარა ახალგაზრდა თაობის აღზრდის კეთილშობილო საქმეს და აღესრულა 1967 წელს. ცნობილია სიკოცხლის ბოლოს მის მიერ ნათქვამი ასეთი სიტყვები: „ბესარიონ ჭიჭინაძის გაცოცხლება რომ შეიძლებოდა, სიამოვნებით დაეთანხმებოდი მხოლოდ ორიოდ დღით ამქვეყნად ყოფნაზე. ჩემი მისია შევასრულე, გავზარდე შვილები, ცხოვრების გზაზე დავაყენე ისინი. მე აღარაფრის მაქნისი ვარ, ბესიკი კი კიდევ ბევრსა და სასარგებლოს გაუკეთებდა თავის სამშობლოს“.

სად არის გამოსავალი

ურთულეს პრობლემას გადავაწყდით: ზაფხულისა და ზამთრის თვეებში მტკვრის დონე იმდენად მცირდება, რომ სულ უფრო და უფრო აღარ ყოფნის წყალი რესპუბლიკის მოსახლეობის ნახევარზე მეტს, აგრეთვე გორის, თბილისის, რუსთავის სამრეწველო საწარმოებს, სამ ელექტროსადგურს.

— ბატონო გიორგი, ეს საკითხი დიდხანია დღის წესრიგში დგას, მაგრამ ჯერ არ მოქცეულა ურთულეს და გადაუდებელ პრობლემათა ორბიტაზე. რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ გარდაქმნის ეს ვეებერთელა რეზერვი ამოქმედდეს და დროულად ჩაღვს ქვეყნის სამსახურში?

— ჩვენს ინსტიტუტში ჩატარებული მრავალწლიანი გამოკვლევები გვიჩვენებენ, რომ ცალკეულ თვეებში მდინარის წყლის დეფიციტი მეტად მწვავე ხასიათს ატარებს და დიდი სიძნელების წინაშე გვაყენებს. თანაც მტკვრიდან წყლის აღება განუხრე-



ავთანდილ ჭიჭინაძე.



ალექსი ჭიჭინაძე.

ეკონომიკის პროგრესი

პ

ოლიტიკა ეკონომიკის კონცენტრირებული გამოხატულებაა. ვ. ი. ლენინის ეს ფუძემდებლური დებულება მთლიანად დაამტკიცა სოციალიზმის მშენებლობის სამოცდაათწლიანმა პრაქტიკამ.

ეკონომიკა საწარმოო ძალთა და წარმოებით ურთიერთობათა ერთობლიობაა. ეკონომიკური პოტენციალი მისი რაოდენობრივი ანუ მასშტაბური დონისა და თვისობრივ-ხარისხობრივი მდგომარეობის დახასიათებაა. ამისათვის შემოღებულია მარკენებელთა სპეციალური სისტემა, რომელიც უამრავ განზომილებას შეიცავს.

თანამედროვე სტატისტიკაში უპირატეხობა ენიჭება ისეთ განმაზოგადებელ კატეგორიებს, როგორცაა: ეროვნული სიმდიდრე, ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი, კაპიტალური დაბანდებები და საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება. ისინი, თავის მხრივ, ცალკეულ შინაარსის მქონე მოვლენებს ასახავენ. ასე მაგალითად, ეროვნული სიმდიდრე, როგორც თაობათა მიერ საუკუნეების განმავლობაში შექმნილი (დაგროვილი) დოვლათის ფასეულობა, მოიცავს შრომის პროდუქტად წოდებულ ღირებულებასა და წარმოების პროცესში ჩართულ ბუნებრივ სიმდიდრეებს.

ასეთი ნივთიერი სიმდიდრის კვლავწარმოების პროცესში ყველაზე დიდ როლს ასრულებს საზოგადოების მიერ შექმნილი წარმოებითი გამოცდილება, ცოდნა და კვალიფიკაცია.

ბოლო მონაცემებით სსრ კავშირის ეროვნული სიმდიდრე, მიწის, წიაღისა და ტყის ღირებულების გარდა, 3,8 ტრილიონი მანეთით განისაზღვრება.

ეკონომიკურ პოტენციალს ერთობ ზუსტად ახასიათებს აგრეთვე ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი და მასში შემავალი ეროვნული შემოსავალი. ამასთან უკეთესია, თუ მეორე უფრო სწრაფად იზრდება. სწორედ ასეთ შემთხვევაში იტყვიან — ეკონომიკა ეფექტურად ვითარდება.

საბჭოთა პერიოდში ქვეყნის ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი 86-ჯერ გაიზარდა, ეროვნული შემოსავალი კი ცოტა უფრო მეტად — 94-ჯერ.

60-იან წლებში ამ მაჩვენებლების მიხედვით ჩვენი რესპუბლიკა საგრძნობლად

ჩამორჩა ანალოგიურ საშუალო საკავშიროს. თუმცა ბოლო ხანებში მდგომარეობა შეიცვალა. ახლა საქართველოში უფრო სწრაფად იზრდება ეროვნული შემოსავალი, ვიდრე მთლიანად ქვეყანაში. 1971-1986 წლებში ჩვენს რესპუბლიკაში იგი გაიზარდა 2,33-ჯერ, საშუალოდ კავშირში კი 2,02-ჯერ.

მრეწველობა, როგორც ცნობილია, სახალხო მეურნეობის წამყვანი დარგია. მისი პროდუქტია ქვეყნის მასშტაბით 205-ჯერ გაიზარდა. ამის გამო არსებითად შეიცვალა მრეწველობის სტრუქტურა. რევოლუციამდელ რუსეთში წარმოების საშუალებათა წარმოების წილად მოდიოდა ერთი მეცამედი. ახლა, პირიქით, ისინი შეადგენენ სამ მეოთხედს.

სწორედ ამით გამოიხატება ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიული განვითარების მაღალი დონე. ეს არის წარმოების საშუალებათა წარმოების უპირატესი ზრდის ეკონომიკური კანონის მოთხოვნათა პრაქტიკული განხორციელების საუკეთესო ნიმუში. არადა, მეფის რუსეთში ამ კანონს „ეძინა“, არ მოქმედებდა. ამიტომ ქვეყანა ეკონომიკურად და ტექნიკურად ჩამორჩენილი იყო. ბუნებრივი სიმდიდრეებით უხვ რუსეთს მისივე შეილები უძღურსა და დატაკს უწოდებდნენ.

ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალზე უაღრესად დადებითად მოქმედებს საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდა. საბოლოო ანგარიშით მასზეა დამოკიდებული მოცემული წყობილების სამეურნეო წარმატებანი, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის დონე.

70 წლის მანძილზე ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება 64-ჯერ ამაღლდა. ზრდის ასეთი ტემპი ჯერ-ჯერობით არ იცის მსოფლიოს ისტორიამ. თუმცა, სამწუხაროდ, ამ მხრივ ჯერ კიდევ ჩამოვარდებით განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს. ახლა ჩვენში მრეწველობის ერთ მუშაკზე წარმოებული პროდუქტია ამერიკის შეერთებული შტატების ანალოგიური მაჩვენებლის 55 პროცენტს შეადგენს.

კიდევ უფრო არასახარბიელო მდგომარეობაა სოფლის მეურნეობაში. აქ დასაქმებული ამერიკელი მუშაკი 4-5ჯერ მეტ პროდუქტს ქმნის, ვიდრე ჩვენი მუშა და კოლმეურნე. ძირითადად ამის გამო

ჩვენში ჯეროვანი მოცულობით ვერ იზრდება სოფლის მეურნეობის პროდუქტის

ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაჩვენებელია კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა, ე. ი. ის სახსრები, რაც გამოიყოფა და იხარჯება სახალხო მეურნეობის გაახალგაზრდავებისა და ახალ საწარმოთა მშენებლობისათვის. თუ ამ მიზნით მთელი 1918-1940 წლებში მხოლოდ 61,7 მილიარდი მანეთი დაიხარჯა, მარტო ერთ, ბოლო 1987 წელს მან 203,5 მილიარდი მანეთი შეადგინა. ამასთან ჩვენ დროში დიდდება იმ თანხების წილი, რომლებიც მოქმედი წარმოების ტექნიკურ განახლებასა და რეკონსტრუქციას ხმარდება.

ეკონომიკური პოტენციალი არამარტო საწარმოო ძალთა რაოდენობრივი გამოხატულებაა, არამედ მათში მოქცეული სიმძლავრეთა გამოყენების შედეგიანობაცაა. მხედველობაში გვაქვს განვითარების გარკვეულ ეტაპზე არსებულ საწარმოო სიმძლავრეთა და მეცნიერულ-ტექნიკურ შესაძლებლობათა გამოყენების დონე და ხარისხი.

ამ თვალსაზრისით ჩვენში, სამწუხაროდ, არასასურველი და ერთობ მკვეთრი კონტრასტები გაჩნდა. არადა, კარგა ხანია ტოლს ვერავინ გვიდებს, მაგალითად, ფოლადის, ნედლეულისა და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების უდიდესი მასშტაბით წარმოებაში, მაინც ნაკლებობას განვიცდით მათი მფლანგველობისა და არაეფექტიანი გამოყენების გამო. ერთ-ერთი პირველი ადგილი გვიკავია მსოფლიოში პურის (ხორბალი) წარმოებით და მაინც იძულებული ვართ, შევისყიდოთ მილიონობით ტონა მარცვლეული. მოსახლეობასთან შეფარდებით ყველაზე მეტი ექიმში გვყავს და ყველაზე მეტი საავადმყოფო გაგვაჩნია, მაგრამ მაინც არსებით ნაკლოვანებებს განვიცდით სამედიცინო მომსახურების მხრივ. ანალოგიური მდგომარეობაა მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების სფეროშიც. გულსატკენი ხარვეზები შეინიშნება საყოფაცხოვრებო მომსახურებაშიც.

დასასრულ, ქვეყნად მიმდინარე გარდაქმნა-განახლების ზოგადი შედეგების შესახებ. განვლილი სამი წლის მანძილზე ჩვენში ბევრი რამ გაკეთდა... მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა ასე ლაკონურად დაახასიათა ჩვენი დღეების მაჯისცემა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1988 წლის თებერვლის პლენუმზე: „თითქმის სამი წლის განმავლობაში უკვე ბევრი რამ გაკეთდა, თუ შევადარებთ ჩვენს ახლანდელ ცხოვრებას იმასთან, რაც იყო გარდაქმნის დაწყებამდე. მაგრამ ჯერ კიდევ ძალიან ცოტა რამ გაკეთდა, თუ შევადარებთ იმას, რასაც ველით გარდაქმნისაგან და რაც ჩვენს საზოგადოებას შეუძლია“.

ამრიგად, სულ უფრო და უფრო იზრდება ჩვენი ეკონომიკის პოტენციალის ზრდასთან დაკავშირებულ საკითხთა მასივი.

კლიმენტ ელიზბარაშვილი,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პოლიტიკური ეკონომიკის კათედრის
დოცენტი.

ნეტავი, ჩემო სიტყვაო,
შენამც კი გაჭკვეუნდებოდე.
ხალხური.



ანუ
მრავალგზის დაბადებული რიგითი
აღამიანის სულის მონოლოგი

მონოლოგი I

მე დავიბადე პირველად თუ-
რმე დიდი ხნის წინათ, უხსო-
ვარ დროში. ველურები ვიყა-
ვით მაშინ...

მე არ ვიცოდი მაშინ ავისა
და კარგის გარჩევა.

არც ბედნიერება და უბედ-
ურება ვიცოდი რა იყო.

არც მეტი და ნაკლები ვი-
ცოდი.

მაშინ მარტო ის ვიცოდი,
რა იყო სიცხე და რა იყო სი-
ცივე.

სიცხეს ჩრდილში ვემალებ-
ოდი, სიცივეს — გამოქვაბუ-
ლში.

მაშინ მე არ ვიცოდი, რა
იყო „შენი“ და „ჩემი“.

მაშინ მზე ყველასი იყო, ყვე-
ლასთვის ერთნაირად ანათებ-
და. ღამეც ყველასი იყო, ყვე-
ლასთვის ერთნაირად ბნელოდა.

მაშინ ტყეც ყველასი იყო,
ზღვაც, ცაც, ხმელეთიც...

მაშინ ყველას ერთნაირად
გვმოიდა, ერთნაირად გვწყუ-
როდა, ერთნაირად გვცხელო-
და, ერთნაირად გვციოდა.

ნადირს ყველა ვკლავდით,
ნანადირვესაც ყველა ვჭამ-
დით, შიმშილს ყველა ერთნაი-
რად ვივადებდით.

... მერე განრისხებულმა ღმე-
რთმა ხმელ ხეს ცეცხლის მათ-
რახი დაჰკრა და პირველად მა-
შინ ვნახე ცეცხლი. ვისწავლე
მისი შენახვა. მივხვდი, რომ
ყინვას ცეცხლის ეშინია და
სიცივეს ცეცხლით მოვერიე.

... და სერთხელ გამოქვაბუ-
ლში ცეცხლის პირას მიმჯდა-
რმა უხუცესისაგან პირველად
მოვისმინე, რომ თურმე ღმერ-
თმა საღდაც დამალა ბედნიე-
რება, იმას ვინც მიაგნებს, ვინც
იპოვნის, ის იქნება ბედნიერიო.
მას არც შესცივდება, არც მო-
შივდება, არც ეტკინება.

ბედნიერება ლამაზია, ძა-
ლიან ლამაზია.

... და მე დავიწყე ბედნიე-
რების ძებნა.

ერთი სიცოცხლე არ მეკმარა
მის საპოვნელად და... წავე-
დი.

მონოლოგი II

მე კიდევ დავიბადე.
მაშინ მარტო მზე იყო ყვე-
ლასი.

მაშინ ჩემზე აღრე დაბადე-
ბულები ტომებად ცხოვრობ-
დნენ და ჰყავდათ ბელადები.
ნანადირვეს პირველად ბელადს
მიაერთმევედნენ, პირველად მას
უნდა ეჭამა, შემდეგ — სხვებს.

ბელადს გამოქვაბულში ცე-
ცხლთან საკუთარი კუნძი ჰქო-
ნდა, რომელზედაც სხვას არ
შეეძლო დაჯდომა; გამოქვაბუ-
ლში ყველას თავისი დასაჯ-
დომი ადგილი ჰქონდა.

... და მე ვისწავლე „ჩემი“
და „სხვისა“, ვისწავლე „ჩვე-
ნი“ და „სხვისა“, რადგან ჩვენ
ჩვენი სანადირო ადგილები
გვქონდა. იქ სხვა ტომის ად-
ამიანებს არ ვაჭაჭანებდით.
„ჩვენს ადგილებში“ ნადირი
რომ გამოილეოდა, სხვაგან მი-
ვდიოდით. იქ თუ სხვა ტომი
დაგვხვდებოდა, ჩვენი ბელა-
დის ბრძანებით მივესეოდით
და გავაძევებდით, ან გამოგვა-
ძევებდნენ.

დავდიოდით ასე, ვნადირო-
ბდით და მუ ჩემთვის ვფიქრო-
ბდი: ბედნიერება ალბათ ბე-
ლადმა იპოვნა, იმიტომ გახდა
ბელადი, იმიტომ აქვს ბრძანე-
ბის უფლება.

და მე პირველად მაშინ ჩა-
მიჯდა გულში შურისჭია, რო-
მელიც მღრღნიდა — „რატომ
მე არ ვიპოვნე ბედნიერება“,
„რატომ მე არ გავხდი ბელა-
დი?“.

ამის შემდეგ უფრო გამწა-
რებული ვეძებდი ბედნიერე-
ბას, ვეძებდი, მაგრამ...

ისევ ბერიკაცისაგან მოვის-
მინე: — ბელადად უნდა დაი-
ბადო, ბედნიერება რომ იპო-
ვნო.

მე კი არ ვიყავი ბელადად
დაბადებული...

და ისევ წავედი.

მონოლოგი III

კიდევ დავიბადე...
გამიწყრა ღმერთი და ისევ
რიგით აღამიანად დავიბადე.
ბელადები უკვე არსებობდნენ,
მე ვილას ბელადი უნდა ვყო-
ფილიყავი? მაგრამ მაინც გამ-
წარებული ვეძებდი ბედნიერე-
ბას.

გამაფრთხილეს, ბელადის
ნება-სურვილი და ბრძანება
უსიტყვოდ უნდა შემესრულე-
ბინა, ხოლო მე თვითონ ბელა-
დისნაირი სურვილები არ უნ-
და გამჩენოდა.

ვერ გავიგე, მაშ, რატომ და-
ვიბადე თუ ბედნიერება არ
უნდა მეძებნა.

სატანამ ჩამიჭრჩულა:
წაართვი ბელადს ბელადო-
ბა და ბედნიერი იქნებო.
ტომის წინაშე შევებრძოლე.
მაჯობა და საიქიოს გამის-
ტუმრა.

მონოლოგი IV

ისევ დავიბადე.
დავიბადე და დავინახე, რომ
დედამიწა მთლიანად იყო გა-
წაწილებული. ყველამ ყველა-
ფერი მშვენივრად იცოდა, რა
იყო მისი და რა სხვისა.

ზოგს ბევრი ჰქონდა, ზოგს
— არაფერი.

ცოტას ბევრი ჰქონდა, ბევრს
— არაფერი.

ვისაც არაფერი ჰქონდა, ის
ფიქრობდა, რომ უბედური
იყო, ვისაც ბევრი ჰქონდა,
თავს ბედნიერად გრძნობდა,
მაგრამ უფრო მეტი უნდოდა.

„შენ-ჩემობა“ ღვარძლივით
მოსდებოდა დედამიწას.

ძალიან ბევრის პატო-
ლა ბელადი კი არა, მეფე ერქ-
ვა.

მეფის ბრძანება კანონი იყო
არასმქონეთათვის.

გვიან იმასაც მივხვდი, რომ
ბედნიერებას ვერასოდეს იპო-
ვნიდა მეფის მსახური და მო-
ნამორჩილი.

ჰოდა, მშვიდად წავედი.

მონოლოგი V

ძალიან დამაგვიანდა ხელახ-
ლა მოსვლა ამ ქვეყანაზე.

კვლავ დავიბადე, მაგრამ
ისევ ლატაკის ქოხში. ვერც
ჩემს წინაპრებს ვერ მიეგნოთ
ნატერის თვალისთვის.

ახლა ბედის მაძიებელი ძა-
ლიან ბევრნი ვიყავით, ქუდბე-
ლიანები — ძალიან ცოტა.

უპოვარნი ბედსა ვჩიოდით,
ღმერთს შევეტიოდით, სულ
ჩვენ რატომ ვართ ამ დღეშიო.

გვასწავლეს! უბედურებმა
თქვენი ბედი თქვენ თვითონ
უნდა გამოჭედოთო. აიღეთ ია-
რალი და მდიდრებს წაართვით
თქვენი წილი ბედნიერებაო.

... და აღვსდექით, მივანგრ-
მოვანგრეთ უსწორ-მასწო-
როდ ნაშენები ქვეყანა, თავი-
დან უნდა აგვეშენებინა.

ამ ბრძოლებში საიქიოში გა-
მისტუმრეს.

ისევ წავედი, მაგრამ იმ
რწმენით, რომ მთა და ბარი
უსათუოდ გასწორდებოდა,
რომ ერთეულულების ხელში დაგ-
როვებული ბედნიერება ყვე-
ლას თანაბრად გაუნაწილდე-
ბოდა, რომ ჩემი ნაოცნებარი
უსათუოდ აცხადდებოდა.



მონოლოგი VI

გამიწყრა ღმერთი, ამ ქვეყანაზე ისევ მოვედი. ისევ მოვედი, როგორც ბედის მადიებელი. მე დავიბადე ისევ რიგით ადამიანად, როგორც ოდესღაც წინათ, დიახ, დიდი ხნის წინათ, როცა არავინ არ იცოდა, რა იყო ბედი, ბედნიერება, უბედობა.

მე დავიბადე ისევ ღარიბი კაცის ძველ ქოხში.

სამემკვიდრეოდ დამხვდა უხვად სიცარიელე, სიღარიბე და სიღუბნე — თავზე საყრდელი.

ბედი, რომელიც მე არ მელირსა, არ ღირსებია თურმე არც ჩემს საწყალ წინაპრებს.

ისევ ისეა დედამიწა მალაღობალი და „შენ-ჩემობის“ ღვარძლისაგან გაუშარგლავი.

ვერც იმ ბრძოლებმა გაასწორეს თურმე მთა-ბარი.

ბედი — ბედნიერობა, უბედობებს — თავშესაფარი ბედნიერთა ჩრდილქვეშ.

გვეითებით, ასე რად არის? სულ ჩრდილში დგომა, შრომა, ღმერთმა რად მომისაჯა?

მზემ ერთხელ ჩემთვის სიბო რატომ ვერ გაშვეტა?

როდემდე უნდა ვიყო ასე იმის იმედად, რომ ერთხელ სიზმრად მაინც ვნახავთ ბედნიერებას, რომელიც მხოლოდ მე მეყოფა. მეტი არც მინდა.

ბედნიერების სიზმრად ნახვაც კი სანატრელი მაქვს.

ილადა გაქვს საიქიოს იმედებიო.

ამ ქვეყანაზე თუ რამ არის, ეს მისთვის არის. აქ საჩემოდ ვინ რას დატოვებს? მე რას ვიპოვნი?

მქონდა მე იმ ქვეყნის რწმენა, ვის რას უშლიდა?

მქონდა, გიღრე ციციოცხლებდი, თავს ვიტყუებდი.

ღმერთს ვლოცულობდი, ხატებს თავლის სანთლებს ვუნთებდი, თანაც ვცდილობდი, ისეთი რამ არ ჩამედინა, რაიც ჩემს წმინდა სულს ცოდვებით დაამძიმებდა, რის გამოც ნანატრ სამოთხის კარს ჩამიკეტავდნენ.

ყოველთვის სანთლის ანთებისას პირჯვარს ვიწერდი და ვჩურჩულებდი:

- არა კაც ვჰკლა.
— არა ვიქურდო.
— არა ვიმრუშო.
— არა მშურდეს მოყვასის ჩემის.
— არცა ვიმუხთლო.

... და ვმარცვლავდი შეგონების იმ კრიალისას, რომლითაც სულს ვინათებდი, ხოლო ხელებზე ბორკილს ვიდებდი, რათა ცდუნებას ეშმაკისას არ ავყოლოდი. დიახ, ვცდილობდი, სიავაკე არ ჩამედინა.

წამართვებს რწმენა.

ახლა რა ვქნა? რით გავამართლო შენი და ჩემი მთა და ბარივით მალაღობა? თქვენ გვეითებით, ვინც წყალწლებულს ხავსიც წამართვით.

მონოლოგი VII

მე რწმენა მქონდა, რომელიც ჭირს მიადვილებდა. ძალას მმატებდა, მოთმინების უნარს მმატებდა.

მე რწმენა მქონდა, ის მარჩენდა, ის მამშვიდებდა.

იმ რწმენის ძალით უბედობას არად ვაგდებდი, რადგან მჯეროდა, რომ სიცოცხლე წამიერია, ამქვეყნიური ბედნიერება მოჩვენებაა. ხოლო იმ ქვეყნად — მარადიულ სასუფეველში — გავსწორდებოდი ღარიბნი და ბევრის მქონენი.

ესეც შეშურდა ბედიან კაცს. ჩემთან მოვიდა, თავის ქალა ამხალა და ამომკვეთა ტვინიდან რწმენა — შეუცნობადი იმედი ჩემი, რომლითაც ტანჯულ ცხოვრებას ჩემსას ვიმსუბუქებდი.

და მის სანაცვლოდ ტვინში ჩამიღო ასეთი აზრი:

არ არსებობს არავითარი იმქვეყნიური, რასაცა ხედავ, აი ეს არის, ამას დასჯერდი. რასაც ამქვეყნად ვერ პოულობ, ვერც იქ ჰპოვებო, ტყუ-

მონოლოგი VIII

ახლა მე რა ვარ? ვინა ვარ და რას წარმოვადგენ? არ ვიცი სწორედ ამ კითხვაზე რა გიპასუხოთ. ჩემი თავი თქვენი თვალით დავინახო თუ ჩემივე თვალით დანახული წარმოვიდგინოთ?

მე დედამიწის პატრონი ვარ, ხოლო შენ — ჩემი, მაგრამ არ ვიცი როდის, რატომ დამეპატრონე. ვიცი, რომ ახლა თქვენ ამაზე ვერ მიპასუხებთ, ვერც მე გავარკვევთ იმიტომ, რომ ძალზე რთულია.

ახლა მე სხვა ვარ. არა ვგავარ ჩემს თავს უწინდელს, როცა ისიც კი არ ვიცოდი, მე ვინ ვიყავი. ახლა მე ვიცი, რომ ყველაზე ჭკვიანი არსება ვარ დედამიწაზე.

ვიცი რომ ვარ ადამიანი. ვიცი და სწორედ აი, ეს არის საშინელება. მე ის აღარა ვარ, როცა ჩემი თავი მიმაჩნდა განგების მიერ გაჩენილი თქვენ სამსახურად.

მე ახლა ვიცი, ჩვენ ორივეს ერთნაირი სისხლი გვაქვს, თუ-

მცა თმისა და კანის ფერი ზოგჯერ — განსხვავებული.

მე მეჩვენება: სურვილებიც ერთნაირი გვაქვს, მოთხოვნებიც ლამაზი და კარგი ცხოვრების.

მეჩვენება, რომ მეც ღირსი ვარ ბედნიერების, როგორც თქვენ ფიქრობთ, ფიქრობთ კი არა, გჯერათ თქვენს თავზე.

მეც ისევე მინდა, მიყვარს, მომწონს, მძულს, მტკივა, მეჯავრება ან არ მეჯავრება, როგორც თქვენ ყველას, მაგრამ თქვენ ბედის საქოჩრდანი იყურებით ყელმოღერებით, მე კი მიწას ჩავკირკიტებ ბედის მძებნელი.

იცით კიდევ რა განსხვავება არის ჩვენ შორის?

— ბედი თქვენ გეკუთვნით, უბედობა მე.

— კმაყოფილება თქვენი წილია, უკმაყოფილება ჩემი.

— სიმდიდრე თქვენი წილხვედრია, სიღარიბე ჩემი.

— უფლებები თქვენს ხელთაა, უუფლებობა — ჩემს ხელთ.

— კანონები თქვენს წისქვილზე ასხამს წყალს, უკანონობა ჩემსაზე.

— თქვენ მთა ბრძანდებით, ამაყი, მე გათელილი ველი.

— მე წელიწადში ორჯერ ვიხვნები და ვიმკები, თქვენ მოღერებული გაქვთ ყელი.

— მე უღელში შებმული ლაბა ვარ, შენ ნაიალადარი ხარი.

— შენ მოუთვინიერებელი მგელი ხარ, მე შენი შესაქმელი ცხვარი.

მონოლოგი IX

მე ბედის ძიებაში ზღაპრები შეგქმენი და იმ ზღაპრებში ვარ ბედნიერი.

მე იმ ზღაპრებში ვარ ყოვლის შემძლე, იმას ვაკეთებ, რაც ჩემს გულს უნდა — ბოროტს ვამარცხებ, კეთილს ვალაღებ, ღარიბს ვამდიდრებ მდიდრის ჯინაზე. უპოვარ მავსრალს ბედს ვაპოვნიებ, ან ბედს მტრედვით მხარზე დავაჯენ. მერე იმ ლატაკს ტახტზე დავაჯენ, ხელთ მივცემ სკიპტრას, გვირგვინს დავადგამ, მის სიტყვას ძალას მივცემ უმაღლესს და ჩავაგონებ, მართოს ქვეყანა, როგორც მე მსურს და როგორც მას უნდა.

და ზის იმ ტახტზე მეფე სვიანი, ყოფილი ჩემებრ ადამიანი, გაჭირვება და ტანჯვა ნანახი, დაფიქრებული ჩემს ბედზე ასვლის, რომელმაც იცის მშვიდობის ფასი, რომელმაც

იცის: — ბედნიერება გაუნაწილოს ჩემებრ მოკვდავებს როგორც მზეს სხივებს ენახება, არ ენახება არც მას სიკეთე ჩემსავით ბედის დაწიხლულთათვის.

იმ ქვეყანაში — ზღაპრად შექმნილში, არიან მეფე-დიდებულები, მაგრამ არიან დიდი ბუნების ხალხზე მზრუნველნი, ხალხის მსახურნი, იმიტომ უყვარს ხალხს მეფე ზღაპრად, გულით უყვართ და ქებას ასხამენ, ტაშს უკრავენ და გულით ლოცავენ, გადამეტებულს არც-რასა სთხოვენ, რადგან მშვიდობის მზე დაჰქათქათებთ, მგელი და ცხვარი ერთადა სძოვენ.

მე ეს ზღაპრები იმიტომ შეგქმენ, ასეთი მინდა, იყოს ცხოვრება. მაგრამ ვაი, რომ ვხედავ მირაჟებს, მივდივარ, ქრება ტკბილი ზმანება. ცხადში ქუჩაში ვზვიავ და ვფიქრობ, რისთვის მოვედი ამ ქვეყანაზე? ნუთუ იმიტომ მხოლოდ და მხოლოდ, რომ ბედნიერებს შურით ვუტკირო, რა ლამაზად და კარგად ცხოვრობენ.

გამოვიღიან ტურისტები და მე ხელს გავუშვერ მონეტისათვის, რადგან სირცხვილის გრძნობა დავკარგე, რადგან შიმშილის გრძნობამ მაჯობა.

„ჩვენც იმ ძიებვით რატომ არა ვცხოვრობთ?“ — ბავშვი რომ ამას შემეკითხება, რა ვუპასუხო?

როგორ ავუხსნა?

შვილი რომ ლუკმისთვის ამიტირდებო, მე ჩემს ყველაზე ძვირფას ვალუტას — სინდის და ნამუსს, რაც თქვენ ჩემდენი ეგება არც კი გაგაჩნიათ, გამწარებული ხელუკლმა მოვისვრი საღდაც და ლუკმაპურის მოპარვასაც არა ვთაკილობ, ოღონდ როგორმე შვილს შიმშილის გრძნობა მოვუკლა.

შენ გიკვირს ჩემი მდაბიური უსირცხვილობა — ლუკმის გულისთვის ძალღვივთ ჯოხსაც არ ვერიდები. შე დალოცვილო, ნუკი გიკვირს, მომეცი ხელი, წამომაყენე მოწყალეებისთვის ხელგაშვებრილი, წამომაყენე და მომეცი საშუალება, თქვენსავით ლაღად მეც გავზარდო ჩემი შვილები. მეც ვიარსებო, როგორც ადამიანს შეეფერება: თქვენ კი ამის ნაცვლად ისევ ხვალის იმედს მთავაზობთ, მაგრამ ეს „ხვალე“ არ იქნა და არ დაიღია.

რისთვის მოხვედი ამ ქვეყანაზე, შენ კარგად იცი, მე რისთვის გავჩნდი, ღმერთი, რჯული, ვერ გამიგია.

მე როცა გავჩნდი ჩემი ბედის წერა-მწერალმა ბედის დავთარში ვაკეთა ჩანაწერები:

— როდის დაიბადა? — მრავალგზის, უხსოვარ დროიდან მოყოლებული.

— დაბადების ადგილი დედამიწა.

— სისხლი ჩვეულებრივი, როგორც ყველასი.

— კანის ფერი თეთრი, შავი, ყვითელი, მოთეთრო, მოშავო, მოყვითალო.

— მცხოვრები ყველა კონტინენტზე;

— სოციალური მდგომარეობა რიგითი ადამიანი.

— რა მივუსაჯო?

აქ შეჩერდნენ წერა-მწერელნი, ერთუროს შეხედეს, მეც დამხედეს, არ შემბრალებს და უღმობებლად გადამიწყვიტეს:

— დარჩეს რიგით ადამიანად!

„მერედა რიგითი ადამიანობა სასჯელია?“ — შემეკითხებოთ.

— დიახ, სასჯელია, როცა:

— შენთვის ცოტას მუშაობ, სხვისთვის ბევრს.

— გაკეთებინებენ იმას, რაც არა გწამს.

— ბრიყვი უფროსი გყავს და ემორჩილები.

— გაიძულებენ, რომ ტაში დაუჭრა.

— მწუხარეს გამღერებენ,

— ტყუილს დაგაჭერებენ,

— მართალს დაგამუხჯებენ,

— სიყვარულს გაგილანძღავენ,

— სიხარულს მოგანატრებენ,

— ნანატრს არ აგიხდენენ.

... და უსასრულოდ გრძელდება ეს „როცა“, ვითარცა ლოდინი.

მონოლოგი XI

ჩემს მამა-პაპას ჩემს დაბადებამდე დაუწყიათ ბალის შენება, სამოთხის ხეხილს რგავდნენ თურმე თავგამოდებით. ამყობდნენ, რგავდნენ, მომავალში იყურებოდნენ, ოცნების თვალთ გვხედავდნენ ჩვენ მათ შთამომავალთ, რომ იმ სიუხვით სავსე ბაღში ვისეირნებდით.

მოგეცათ ლხენა, კარგი იყოს ბალი სამოთხის. ახლა ყვავილობს ის ხეები და რა გამოდის? მყავე მაჟალოს, კბილის

მომჭრელს, ვკრეფავთ შეილები. ახლა ვგებულობთ, რომ შეცდომით უშენებიათ, მწარე საძირეზე დაუმყნიათ მწარე კვირტები, მოდი და ასეთ შეცდომაზე ნუ აპყვირდები!

— რა ვქნათ? — კვითხულობ.

— ხელახლა გავაშენოთ ნაღდი ხეხილი, პაპათ დაშვებულ შეცდომას სხვა რა ეშველება?!

— კარგი, ბატონო! ჩემი საქმეა ბალის შენება. ოღონდაც კარგად შეამოწმეთ, რა უნდა დაერგოთ. საძირეც კარგად შეამოწმეთ, კვირტიც, ნაყოფიც. არ გამოვიდეს მერე, როცა ნაყოფს დაისხამს, რომ თურაშაულს ველოდით და პანტა მოისხა.

... მე თანახმა ვარ! ჩემი საქმეა ბალის შენება!

მონოლოგი XII

დამესიზმრება ავი სიზმრები და ჩემში შიში დაისადგურებს. დამესიზმრება, რომ ბალს ვაშენებ, ვილაცა მოდის და მინადგურებს. მე მაშინებენ შავი სიზმრები და შემკრთალს უცებ გამელვიძება. მომელანდება აფეთქებები, ასე მგონია ომი იწყება; მომელანდება, რომ კოსმოსიდან მოდის რაკეტა და აქ ეცემა და დედამიწა მომაკვდავივით, ფართხალებს, ღმუის, ზურგი ეწვება. უგუნურობის ნისლი ტრიალებს და გვემუქრება რისხვით ატომი. ასე მგონია, უგუნურობის გამოა, მიწას რომ ვერ ვპატრონობთ, ვერ ვუფრთხილდებით დედამიწის ზურგს, ზედ სამარეებს ვუთხრით ერთმანეთს, ახალ-ახალი აფეთქებები გამოცდებისა — გულს გვიხეთქავენ.

ახლა მსოფლიოს ისე სჭირდება მშვიდობა თავის კარგი შედეგით, როგორც სენისგან შეპყრობილ შეილებს მკურნალობა და ლოცვა დედების.

მუხლმოყრილი და ხელაპყრობილი გვედრებით და გემუდარებით, მპყრობელნო ხმელთა, ზღვათა და ცაათა, ნუ მემუქრებით, ნუ მექაადნებით. მე დაღლილი ვარ სისხლით და ცრემლით, მძიმე ცოდვებად მაწევს ომები, მაკმარეთ ის, რაც აქამდე ვნახე, ნულარ მაჩვენებთ განმეორებით. ნუ ცდი-

ლობთ ასე თავგამოდებით ადამის მოდგმა გადააშენოთ, მაცალეთ წამით, ძირს დავდოთოფი, ბარი ავილო, ბალი ვაშენო.

მონოლოგი XIII

მე უშფოთველი ძილიც არა მაქვს, დარდს და საწუხარს ვერ ვეთიშები. არა მტოვებენ ჩემი ფიქრები, როგორც საკუთარ ბუდეს ჩიტები.

რაკი ვწევარ და არ მეძინება, ვფიქრობ რისი და ვისი ბრალია, ვინ მომანიჭა, ვინ დამაწყველა ის, რაც მე ასე მალაპარაკებს.

ფიქრით გავყვები უკუღმა იმ გზას, რომელიც დღემდე გამოვიარე, ფეხს ვადგამ ჩემს ძველ ნაფხურებს და ასე ვიახლებ ჩემს ძველ იარებს.

და ვნატრობ:

როცა დამეძინება არ დამესიზმროს ტომის ბელადი — შუბიანი და ბუმბულიანი.

არ დამესიზმროს მონათმფლობელი — ხელჯოხიანი, მათრახიანი.

არ დამესიზმროს მეფე მრისხანე — გვირგვინოსანი, ხელსკიპტრიანი.

არ დამესიზმროს ლენგი და ხანი, შახი შეიხი — შიშველხმლიანი.

არ დამესიზმროს კაცი მრისხანე, მოკლე ულვაშით, რკინისჯვრიანი, თმაჩამოშლილი, გადარეული, ცოდვიანი და პირსისხლიანი.

არ დამესიზმროს კაცი სიგარით. — ჩასუქებული, შავფრაკიანი.

არ დამესიზმროს კაცი კიტელით და მწვანე კეპით, ჩექმეზიანი.

არ დამესიზმროს მელოტი კაცი ბოროტი, პენსნესათვალიანი.

არ დამესიზმროს...

არ დამესიზმროს...

არ დამესიზმროს... ავი სიზმარი, ვნატრობ, რადგანაც წინასწარ ვიცი, ცუდს მოასწავებს მათი ზმანება, რაღაც ახალჭირს გადავეყრები, რადგან ესენი ვარდასულ დროთა ავი და შავი ძალნი არიან. მე რომ დღეს მოვთქვამ, მე რომ დღეს ვშფოთავ, ღმერთმა ხომ იცის, მათი ბრალია.

დაძინების წინ იმასაც ვნატრობ, რომ დამესიზმროს ტკბილი სიზმარი, ვინმე ღმერთკაცი მოვიდეს ჩემთან, დამიყვას

და ღიმილით მითხრას: „ვიცი, ბედს ეძებ დიდ ხანს, ბედს ეძებ, მაგრამ ვერ გიპოვებია, ამ ძიებაში ძალიან ბევრი ვარ და ვიში გადავხდენია. რაც მოხდა, მოხდა, გვეპაროს უნდა უუფლებობა, სისხლისღვრა, ბოლმა. დღეიდან ვიწყებ შემობრუნებას შენი ბედისას წალმა და აღმა. აგეხსნას უნდა ბორკილი ენის, თავისუფლება მოგეცეს რწმენის. მე გაპოვინებ შენ რასაც ეძებ, გვეო, რაც ტანჯვა გამოიარე, მე გაპოვინებ ბედს და მალამოს, მე მოგიშუშებ მაგ ძველ იარებს...“

და ველარ ვარკვევ ცხადში ვარ ესლა, თუ ამ ყველაფერს სიზმარში ვხედავ, თითქოს ღმერთკაცი მოვიდა ჩემთან და გზას მაჩვენებს:

— წავიდეთ ასე! მე შენ გაგიყვან იმ მართალ გზაზე, რომელიც ნანატრ ბედთან მიგიყვანს.

ღმერთო, გამარკვევ, ახლა რა ხდება! ნუთუ, რაც მინატრია, მართლა ახდება. ნუთუ დღეიდან მართლა იწყება უკუღმართი ბედის შემობრუნება.



ღმერთო, თუ ამ ყველაფერს სიზმარში ვხედავ, ნულარასოდეს გამომადვიძებ, თუ ცხადში ვარ და, იმასაც გთხოვ, აღარასოდეს არ დამაძინო. უკანასკნელი იმედი ჩემი, უკანასკნელი ეს რწმენა ჩემი, ღმერთო მალალო, ღმერთო ძლიერო, არ გამიმტყუნო, არ დამილეწო.

რა შორი გზა მაქვს გამოვლილი და მეჩვენება, რომ ამაოდ თითქოს, რა დიდი რაღაც უნდა მიმელო და რა ძალიან პატარას ვითხოვ. გემუდარებით მუხლებმოყრილი, ჩემი გაჩენა არ მაწყვევლინოთ, ისე არა ჰქნათ ეს გზა განვლილი, ისევ თავიდან დამაწყებინოთ.

მონოლოგი XIV

ანუ ნატვრა მორიგი წახვლის წინ



„ნეტავი ჩემო სიტყვაო, შენამც კი ვაპქვევლებოდე“, მიეხლებ-მოეხლებოდე, მსოფლიოს მოედებოდე, ამა ჩემს ნათქვამს სუყველას თავის ენაზე ეტყოდე, ჩააფიქრებდე სუყველას: „რასა ვიქმთ, რას უნდ ვიქმოდეთ“. შიშო, შენ გაპქარწყლებოდე, იმელო, გამხვევლებოდე, ადამიანის მოდგმაო, ღმერთამდე აღზვევლებოდე!



ვაზის ყვავილობა.
სოფლის დილა.
ბიჭუნა.
დოდო აბაშიძე.




ბონდო დგალიშვილი



ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები

ПАЛЕТНИКИ ГРУЗИНСКОГО ВОДСТВА • MONUMENTS OF GEORGIAN ARCHITECTURE



მცხეთა - მიხტა მთისა



ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები
 ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები
 ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები


ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები
 ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები
 ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები

ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები
 ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები
 ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები



გაკვეთილზე.

ბონდო დგალიშვილი



ქრონიკა
ბიბლიოთეკა

ქეთინო.

ვაშა!



ქალი

მინდორობი

პიონირობა

— დასწყევლოს ეშმაკმა, დედამიწას შიგ გულ-ღვიძლში ჩაქსოვია ეს ნისლი-ტიელი! — ოხრავს ფარის წინ მიმავალი მოხუცი თავიზნა და ნისლდაფარებულ ტრამალს გაჰყურებს.

ორ ნაბიჯზე არაფერი ჩანს, თან სალამოს ბინდიც ახლოვდება.

— ჯერ გამოდარებას არ დაადგა საშველი და ახლა კიდევ ეს ოხრობა.

ცხვარ-ბატკნის ბლავილზე და მწყემსების სტვენა-გადაძახილზე ხვდება, რომ ფარა კვალში მიჰყვება თავიზნას.

— ძია გახავ, — ახალგაზრდა მწყემსი წამოეწია. — ხომ არაფერს გვეძახობდი, შენი სიტყვები ვავიგონეთ.

— არაფერს, მაგრამ ამისთანა ამინდში, ბალო, ბრიგადირს ასი თვალი და ასი ყური უნდა. სხვებიც გააფრთხილე, მამგე ცხვრები არსად ჩამოვრჩეს.

— მამგე ცხვრებს როგორ დავივიწყებ. მაგათი იმედი რომ არ მქონდეს, გვეგმაც გვერდზე დამრჩება და ვალდებულებაც. ვავტუტუტუცი და ასზე ასხუთი ბატკანი ვივალდებულე. აბა, რატომ არ ვეგდე ჩემს ადგილზე, — ჩაიციხა ახალგაზრდამ და კომბლის წვერით ჩექმიდან ტალახი ჩაიფხიკა.

— ეგ არაა გატუტუტუცება, ბალო, ეგ ბიჭობაა. რასაც იტყვის ვაჟკაცი, კიდევაც უნდა შეასრულოს, — თქვა მოხუცმა მწყემსმა. მერე სველი ბოხონი მოიხადა, დაბერტყა და ისევ დაიხურა.

— ეგ, ძია გახავ, ვითომ არ იცოდე, ეგრე მელაპარაკები.

— რაი არ ვიცოდე?

— ვისაც მხოლოდ სახრავზე უჭირავს თვალი, ის უფრო ყელსეულობს ახლა.

ჭალარა მეცხვარემ ჭაბუქს აღმატვრად შემოხედა, თან ყბაზე ჩამოკურებული წვიმის წყალი ხელისგულით ჩამოიწმინდა.

— სახრავზე ესაც ფიქრობს, — კომბალი უკან მიმავალ ვაცს წაჰკრა. — რომ იცოდე, ჭიანჭველაი რო ჭიანჭველაია, ისაც კიდევ დღე და ღამეს ასწორებს სახრავზე ფიქრით, თავიც ზამთრის მარაგით სოროს ავსებს. მამ, ჩადევ მაგათ რიგში შენცა და იფიქრე სახრავზე, იშოვე და ხარი.

ახალგაზრდას ჩაეციხა, ხელი ჩაიქნია და მოხუცს გაშორდა.

კოტაც რომ გაიარეს, ახლა მეორე მწყემსი წამოეწია თავიზნას:

— სად ვავჩერდეთ, ძია გახავ, სალამოს ბინდიც წვება და სიარულში უფრო რაიმე დაგვსხლტება. კოტი ცხენებს და ბარგბინას მოყვება.

მოხუცი შეჩერდა, უკან ზოზინით მიმყოლ ფარას გახედა.

— ეგრე მეკითხები, ამ ტრიალ მინდორში ვითომ ამოსარჩევი ალაგი გვექონდეს, — თქვა თავიზნანმა, — დაღამდა? უნდა დავდგეთ და ფარა დავაბინაოთ.

შარავზიდან მარჯვნივ გადაუხვია, ველი ირიბად გადასჭრა, ქეჩად მიმავალი ვაცებიც თან გაიყოლა.

— გახაუ, მოისმა ფარის ბოლოდან მესამე მწყემსის ძახილი.

— მომყოლეთ ფარა, მომყოლეთ, — გასძახა გახამ და ნისლდაქსოვილი ტრამალის სიღრმისკენ გასწია.

თავიზნანმა ალღოთი ივრძნო, რა ადგილებშიც იმყოფებოდნენ და გადაწყვიტა, ფარის შეჩერება ღამის გასათევად.

— შემოუარეთ და შემოამაჭიროვეთ ფა-

რა, — გასძახა მწყემსებს. — ცხენ-ურემი აქ მოიყვანეთ.

როგორც კი წინ მიმავალი ვაცები შეჩერდნენ, დაღლილი ფარა მიწაზე დაეყარა.

ფარას გვარიანი მანძილით ჩამორჩენილი ცხენ-კვიცობა მოშორებით ლერწმიან ტაფობში შემოხაყუნდა. ზოგი ცხენი დასაპალნებული იყო, ზოგი ხურჯინიდან ბატკნებს გადმოეყო თავი და ზოგიდან ლეკვებს.

ცხენ-ურემი თავისი მეცხვარული ბარგი-ბარხანით თავიზნანთან მოჭრიალდა, მის უკან ტყავ-ნაბდებში შეფუთული სახედრებიც მოჩაქჩაქებდნენ.

ნისლ-ბინდში ლანდებივით ჩანდნენ, ცხენები. მწყემსები გადაძახილით არკვედნენ, სად რომელი იყო.

— კოტე, ცხენები ადგილზეა? — გასძახა თავიზნანმა იმ მწყემსს, რომელიც ცხენ-ურემთან ფართიფურთობდა და შემის ნაჭრები ურმიდან გადმოჰქონდა.

— არის თერთმეტივე, — უბასუხა კოტემ და დაიღლიავებული შეშა თავიზნანის ფეხებთან დაყარა.

— განა გავონილა ასეთ ღამეში უძალლობა, — თქვა გახამ. — თამაზის ბრიგადაში როგორ დასტოვეთ ძაღლები?!

— ამღამ ვავიდე თოლასა და დილისთვის თამაზაიც წამოგვეწევა, — ჩაილაპარაკა გიგამ.

— ძაღლებიც გაუჯიშოვდა, კაცო, — თქვა მესამე მწყემსმა, რომელიც ის-ის იყო, მათთან მოვიდა. — მაგათ იმედით კაცი წუთით ვერ მოატყუებ თვალს.

— ძაღლიც ვანებიერდა და კაციცა, ეგა სოქვი, — თავისთვის ჩაიბურტყუნა მოხუცმა. — აბა, ცეცხლი დაანთეთ, რომ კოტა გავიშროთ ტანისამოსი, — დაუმატა ბოლოს.

მწყემსები დაფაცურდნენ.

წვიმამ გადაიღო, სამაგიეროდ ტრამალიდან ცივი ქარი უბერავდა.

მწყემსებმა თითქმის ერთდროულად ცქვიტეს ყურები.

— ალდი! ალდი, — მოისმა სალდაც ქვემოდან ბავშვური, ფრთხილი ხმა.

კოტე ურემს ეცა, ნაბდები ასწია და იქიდან „ცენტრალკა“ ამოაძრო.

— ალდი, ალდი, — კვლავ გაიგონეს უფრო ჩურჩულგარეული ხმა მწყემსებმა იმ მხრიდან, სადაც მათი ცხენები იყო გაჩერებული.

— გონზე იყავით, — გააფრთხილა გახამ ახალგაზრდები. — ეგ თოფია და ტყვიას ისვრის.

თოფომარჯვებული ახალგაზრდები ცხენებისაკენ წავიდნენ თვალდაფაცვი-ბულნი.

დაწინაურებულმა კოტემ ცხენები იფა-

რა და კვიცებთან ჩამალულ ადამიანს მოულოდნელად წაადგა თავს.

უცნობმა გაქცევა სცადა, მაგრამ მწყემსი ავასასავით დაახტა თავზე და მიწას დაანარცხა.

— „ავაიპო“, — წამოიკენესა წაქცეულმა ბავშვურ ხმაზე, თან მწყემსის ხელიდან თავის დახსნას ცდილობდა.

— ვერ მოასწარი, არამზადავ?! — იღრიალა მწყემსმა. — ღირსი ხარ, გავიხვრიტოს კაცმა ეგ კატის თავი.

უცნომ მართლაც კატასავით სწრაფად გაინთავისუფლა მკლავი მწყემსისაგან და აკანკალებული გვერდზე გახტა.

— წამოათრიე ბინაში, — თქვა მეორემ. — ურემზე მივაბათ ძაღლივით და ისე მივიყვანოთ მილიციას!

— მე ქურდი არა ვარ, წამოიძახა უცნობმა.

— ეგები შენ მერე ამტკიცე, შინ მისვლა თუღა გელირსა, — კვლავ წაუჯიკავა ხელი კოტემ.

უცნობი მთელი ტანით ძაგძაგებდა სიცივითა თუ შიშით ატანილი. თრევა-თრევით და ძალისძალად მიიყვანეს ცხენ-ურემთან.

— მე არა ვარ ქურდი, არა, — კვლავ წამოიძახა ტირილგარეული ხმით უცნობმა და დამხვდურ-მიმყოლებს ზურგი შეაქცია.

ცხენის ქურდი თუ ქურდობაში ეჭვმიტანილი, ურმის კოფოზე იდაყვჩამოყრდნობილი დადარაჯებულივით გაჰყურებდა ბნელეთით დაყურსულ ტრამალს, თითქოს იქიდან ელოდა ხსნას.

— მოიყვანეთ ცეცხლთან, ჩვენზე უკეთეს დღეში არც ეგა ჩანს, — თქვა თავიზნანმა.

უცნობი შემობრუნდა, თამამად, გაბედულად მივიდა კაცებთან, მოზრდილი შემის ნაჭერი შენიშნა და ზედ ჩამოჯდა.

მწყემსები გაშრნენ, ენაჩავარდნილები შეაჩერდნენ.


მომხიბლავ სახეზე და ყელზე სპილენძისფერი თმის კულულები ჩამოშლოდა ქალიშვილს.

— როგორი ლამაზია, ბალებო, — წამოიძახა კოტემ და ცეცხლს მუგუზალი შეუჩხიკინა, რომ ალს უფრო აეწია და უცნობის სახე გაენათებინა.

ქისტური შარვალი ეცვა. შარვალი სველი იყო და მუხლის თავებზე ზედ ეტმასნებოდა. ქალიშვილმა აღარ იცოდა, მუხლები სად დაემალა.

მწყემსები პირდაღებულები და თვალანთებულები შეჰყურებდნენ დახატულ „ცხენის ქურდს“, რომელსაც თვალი ახლა კვლავ ტრამალისაკენ ეჭირა ველის ნადირივით.

— ქალიშვილო, — წაიწია მისკენ გა-



ხა, — ვინა ხარ, ან რას ეძებდი ჩვენს ცხენებთან?

კარგა ხანს დუმდა ქალი.

გახამ რომ ჩახველა და კიდევ რაღაცის თქმა დააპირა, ქალმა უცბად წამოიძახა:

— ადამიანი ვარ მე!

— ვხედავ, რომ ადამიანი ხარ, — ჩაიციხა მოხუცმა. — არც ჩვენა ვართ მგლები.

— მაშ, მგლებივით რად მიყურებენ ესენი, — წამოიძახა სლოკინით და ხელი მწყემსებისაკენ გაიქნია.

— სად მიდიხარ, ან რას ეძებ? — კვლავ ალერსიანად ჰკითხა გახამ.

ქალიშვილმა მოხუცის ხმაში აშკარად იგრძნო სითბო თუ თანაგრძნობა და თვითონაც მინდობილად შეხედა:

— ეგ მხოლოდ ჩემი საქმეა.

— რუსი ხარ, ლევი თუ ჩეჩენი? — ჰკითხა კოტე და ეჭვიანი მხერვა შეავლო თავით ფეხებამდე.

— ქისტი ვარ, — დედოფლური სიამაყით წამოიძახა ქალიშვილმა და ზემოდან გორახედ გადახედა მასზე თვალმიშტერებულ და მოულოდნელობისაგან დარეტიანებულ მწყემსებს.

თავჩობანმა ღიმილით ჩაიქნია თავი და ცეცხლს მუგუზლები მიუძარჯვა. მერე ბრიგადირს მიუბრუნდა:

— გიგა, ბალო, გაუარეთ ერთი ფარას, ბატკნები ხომ არ შემოგვემატა.

მწყემსებმა პაპიროსებს მოუკიდეს და ფარის შემოსავლელად წავიდნენ. თან თვალი უკან-უკან რჩებოდნენ.

მეცხვარულ ბინაში ცეცხლთან მოხუცი თავჩობანი და ქალიშვილი დარჩნენ.

როგორც კი ახალგაზრდები ნისლში გაუჩინარდნენ, ქალიშვილს გაბრაზება და ბოღმა გაუქრა სახიდან. წარბები გახსნა, მოხდენილობა მოემატა, თითქოს მშვიდადაც ამოისუნთქა, უფრო მოხერხებულად დაჯდა.

— ბიძია, — თქვა ხმის კანკალით, — რომ გავიქცე, თქვენ თოფს მესვრით?

გახამ ვაშტერებულმა შეხედა კითხვალ ქცულ ქალიშვილს.

— რამდენი წლისა ხარ?

— ჩვიდმეტისა, — უპასუხა გულუბრყვილოდ ქალიშვილმა.

— ჩვიდმეტი წლის გოგო რამ გაიძულა ამ ტრამალზე, ასეთ ამინდში ცხვარ-მეცხვარეს აედევნო, რა გაგიჭირდა ასეთი?

— რა გამოჭირდა და... რომ გითხრათ, იმათ გაუძნელთ? — მწყემსებზე ანიშნა ხელის მოძრაობით.

— არ გავუძნელ.

— მე ჩემ ძმასთან ერთად მეურნეობაში ვმუშაობ, მეცხენეობის მეურნეობაში, — დაიწყო ნახევრად ჩურჩულით. — ნამდვილი ჯიგითა ჩემი ძმა. გუშინ ღამით მეურნეობის ფერმიდან ყველაზე საუკეთესო ცხენი მოგვპარეს, — ქალიშვილს თვალეზზე ცრემლები მოადგა. „აღდი, აღდი“, გაიმეორა თავისთვის. — ძმა ამ დილით მაღლაბეკის მილიციაში გავარდა, მე მის ჩუმად ცხენების კვალს გამოვყევი ცხვრის სავალ ტრასაზე. დილას აქეთია ველარ მოგვიწიეთ, თან ეს ნისლი... ხან ველზე გადიოდა კვალი, ხან შარავზაზე. მეგონა, სწორად მოვდევი კვალს, მაგრამ, აი, რა დღეში ჩავვარდი.

— მერედა, მავის გულისთვის იკლავ თავს, — სცადა გახამ ატირებული ქალიშვილის დამშვიდება, — ცხენის გულისთვის?!

ქალიშვილმა გოცებული თვალები შეანათა მოხუცს:

— მთელ ჩეჩენო-ინგუშეთში განთქმულია, მთელი მეურნეობა მისით ამაყობს.

მიუხედავად იმისა, რომ ეჭვი აღარ ეპარებოდა ქალიშვილის გულწრფელობაში, მოხუცი მეცხვარე მაინც ფრთხილად წონიდა მონაყოლს, ფიქრობდა, როგორ მოქცეულიყო.

— ხომ აღარ მესვრით, რომ გავიქცე, სანამ ისინი მოვლენ? — კვლავ იკითხა მთლად ბავშვურ კილოზე.

— სად უნდა გაიქცე ამ კუნაპეტ ღამეში?

— მოვნახამ როგორმე გზას, იმათი მეშინია, ძალიან მეშინია თქვენი ბიჭების...

— ნურაფრისა გეშინია, მე აქ არა ვარ? — თქვა მოხუცმა.

— მაშ, თქვენი იმედი მქონდეს, რომ არაფერს დამეშავებენ?!

ქალიშვილმაც მას მიბაძა, ჩექმები გაიძრო და სველი წინდებიც მიაყოლა. შიშველი ფეხები შეშის ნაჭერზე შემოდო და ცეცხლს მიუფიცხა.

ვერც შენიშნეს, როგორ მოვიდა ახალმოგებული ბატკნებით ბრიგადირი.

ბიჭი შორიასლოს შედგა და თვალგამტერებული მიაჩერდა ქალიშვილის მუხლებამდე შიშველ, ღამაზად ჩამოქნილ ფეხებს.

სიჩუმე ბატკნის პეტელმა გაბზარა და ქალიშვილი ელდანაკრავივით წამოვარდა.

ამ დროს სხვებიც მოვიდნენ და თითომ თითო ბატკანი ცეცხლის ანლოს დაასვენა. ჯერ კიდევ ლობრიანი, სუსტი ბატკნები სასაცილოდ ბობლაკობდნენ, ცდილობდნენ ფეხზე დადგომას და ისევ ეცემოდნენ.

მწყემსები ბატკნების ირგვლივ ჩამულულიყვნენ, ლობრიანი და ტალახიანი, ძლიერი ხელები სველ ბალახზე დაეხიანათ და ბატკნებს ფეხზე დადგომაში ეხმარებოდნენ.

— ბალებო, — მიმართა ბიჭებს გახამ, — დოლს კარგი პირი უჩანს, ვალდებულეხასაც აჭარბებს, ამას აღნიშნა მოუხდება.

ბრიგადირი წამოხტა და ურემში ჩალაგებული ხურჩინებიდან არყიანი მათარა დააძრო, თან სანოვაგე და მოხვრის რქის ყანწებიც მოაყოლა.

მაღე ცეცხლის პირას მეცხვარული სუფრა გაიშალა და პირველი სადღეგრძელო მოხუცმა თავჩობანმა თქვა.

ქალიშვილი ააწრიალა არყიანი მათარის დანახვამ და ათრთოლებული ბაგის კვნეტით აკვირდებოდა ყანწის ხელიდან ხელში გადასვლას.

ბიჭები გალაღდნენ და გამხიარულდნენ. ნისლი თანდათან გაიცრია და ნოღაეთის ცაზე ვარსკვლავები აციმციმდნენ.

— ეტყობა, ამინდს საშველი დაადგება, — თქვა გახამ და ცას კმაყოფილებით ახედა.

— შენთან ძრიალ დიდი ბოდიში, გახა ბიძა, მაგრამ მაინც ვინაა ეს ქალაშავა?

ქალიშვილი ალღოთი მიხვდა, რომ მასზე რაღაც თქვეს და მოლუშული სახე უფრო მოეჩუქრა.

— ეს ქალაი თქვენ რაც გეგონათ, ის არაა, — თქვა ბრძანების კილოზე თავჩობანმა. — ეს დასაფასებელი სტუმარია და უნდა დააფასოთ კიდევ.

შეკბუნებულმა მეცხვარეებმა ერთიმეორეს გადახედეს და მხრები აიჩიჩეს, —

დასაფასებელს ამ შულამისას აქ რა ესაქმებაო.

— ძია გახა, თქვენი ნებართვით ამ ქალას შეიძლება ერთი შეკითხვა მივცე? — წამოიძახა ბრიგადირმა მხიარულ კილოზე, სიმღერას რომ მორჩნენ, თან ცეცხლზე თვალმიშტერებულ ქალიშვილს ალერსიანი თვალებით გადახედა.

— გაახინა, რას კითხავ, — თქვა გახამ.

— გის, ან რას ჰლვია, აღდი, წელან რომ ეძახოდით იქ, ცხენებთან?..

— აღდი ჩემი სახელია, თქვა ქალმა და გიგას ჯიქურ შეაჩერდა, თქვენ არც გიკითხავთ... და რასაც ვეძებდი იმისიც...

— რას ეძებდი? — გაუკვირდა უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილ ბრიგადირს.

ქალმა წუთით იყუჩა. ამ დროს ქარმა წამოუქროლა და ცეცხლი უფრო ააბრიალა.

— ქარს, ქარს ვეძებდი, — თქვა ქალიშვილმა და ბნელში ჩაძირულ ტრამალს მოაგლო ნელგლიანი თვალები.

— ან ნე ვერა ვარ კარგად, ან ეს? — ჩაილაპარაკა ბრიგადირმა.

წუთით სიჩუმე ჩამოვარდა, რაღაც შორეული ხმა მოსწვდა მწყემსების ყურს.

ქალიშვილი წამოხტა და ბნელი ტრამალისაკენ დაიწყო გაფაციცებით ყურება.

ტრამალიდან ცხენის დაწყვეტილი ჭიხინი მოიტანა ქარმა.

— აღდიი! — იკვირა ქალმა ყურის გამხვრეტი ხმით, თან ხელებიც ტრამალისაკენ გაიშვირა. — აღდი, აღდი, — ჩაპკიოდა სიბნელეს.

მწყემსებიც ფეხზე წამოკვიდნენ. აზრზე ვერ მოსულიყვნენ, რა ხდებოდა.

წამიც და ქალის კვილზე სიბნელიდან ქარიშხალივით გამოვარდა ოფლში გახვიოქული, ლაგამ-უნაგირიანი თეთრი ცხენი.

ქალი ადგილს მოწყდა და ცხენს კისერზე ჩამოეკიდა. ეხვეოდა და უკოცნიდა თვალებს, ყურებს, შუბლს, თან ტიროდა, თან იცინოდა.

— აღდი, აღდი, ჩემი აღდი, — გაიძახოდა და კვლავ ეხვეოდა. — გამოექეცი, ვერ დაგიჭირეს, ვერა!..

უცბად შემობრუნდა, გაღიმებული, ბენდიერი, თვალნათელი, გაშტერებული კოტესაკენ გაქანდა და მოეხვია, მერე გიგას მივარდა. აკოცა. კოცონთან წამოძვარდა თავჩობანთან მუხლებზე დაეცა და მოხუცს სახე დაუკოცნა.

წამოხტა და სანამ მწყემსები აზრზე მოვიდოდნენ, იგი წამში ცხენს მოევლო ზურგზე.

— თქვენ ძალიან კარგები ხართ, გურჯებო, ყველანი კარგები, — წამოიძახა და ცხენი მათ ირგვლივ შემოათამაშა, — მაგრამ... მე კი ვერც მომიტაცეთ ძველი გურჯეებივით და ვერც მაკოცეთ, — კისკისებდა მთელი ხმით და ცხენს ფრთებშესხმულივით იქეთ-აქეთ ახტუნებდა.

ცხენი გადაირია, ყალყზე დგებოდა, დაღრეჯილ-დაბერილი პირიდან და ნესტოებიდან ქაფსა და ორთქლს ისროდა, ჭიხინებიდა და გასაფრენად იწევდა.

— გურჯო ბრიგადირო, მე ქისტის ქალი ვარ, არ დაგავიწყდეს. არც გამომეკიდო, ქარს ვერ დაეწვივი მინდორში. თუ ბიჭი ხარ, შეძებე და მიპოვე!

და ქალიშვილმა კიდევ ჩაიკისკისა, ჩაიტარციალა ზღაპრული ალქაჯივით, აბორგებულ ცხენს სადავე მიუშვა და მოჩვენებასავით გაუჩინარდა შულამეში.

— დიახ, თენგიზია. ჩემი უფროსი ვაჟი. ვიკვირთ, რომ ქართული სახელი ჰქვია? მაგრამ ხომ ლამაზად ელერს. თუმცა, აქ სულ სხვა ამბავია. გახსოვთ, იენაში, თალქვეშ, გთხოვეთ, რომ ერთხანს დამდგარიყავით ჩემს გვერდით? მან ერთხელ იმ თალქვეშ დამინიშნა შეხვედრა. ასე მიიხრა: „ინგრიდ, მოვალ!“ და არ მოვიდა. მე კი ველოდი მაინც. თხუთმეტი წელიწადი ველოდი. როდესმე ხომ უნდა ჰქონოდა ამას ბოლო. მე მომეჩვენა, რომ თქვენ იქნებოდით ამის თავლები. თავლები... სწორად ვამბობ ამ სიტყვას? აქამდე არ მომწოდებია ვინმესთვის გადაეშალა გული. მაგრამ, ალბათ, აჯობებს, თავიდან მოვეყვე. რას იტყვით? ჯერ ჩემზე მოგახსენებთ. თუ გაინტერესებთ, ცხადია. მე დავიბადე ბერლინში, ოცდათხუთმეტი წელს. მაგრამ უმეტესხანს დიდდღაჩემთან და პა-



საქართველო
საზოგადოებრივი

მოთხრობა

დაუსრულებელი განუორიება

პაჩემთან ვცხოვრობდი, ოდერის ფრანკფურტის ახლოს, პატარა ქალაქ მიულროზაში.

დედაჩემი ობოლი იყო და უპატრონო ბავშვთა თავშესაფარში გაიზარდა. რომანტიკული ქალი გახლდათ, მისგან ბევრი რამ შევითვისე. არ ვიცი, რა წამაღდა და რა არა. როცა ტყე-ტყე დავიარებოდით (ის ჩინებული დიასახლისი იყო), სოკოებსა და კენკრას კრეფდა. თანაც მიყვებოდა სულელებზე, ქონდრისკაცებზე, რომლებიც კეთილ ბავშვებს ათასნაირი საჩუქრებით აჯილდოებდნენ. და, უცებ ტყეში, ჭირკვზე, საჩუქარი მხვდებოდა — ვაშლი ან კიდეე სხვა რამ. ეს ჩემი სიცოცხლის საუკეთესო ხანაა.

მამაჩემის მშობლები კი ხელოსნები იყვნენ, თავიდან არაფერი ებადათ. პაპა წყალსადენში მუშაობდა, თანდათან წელი მოიმაგრეს და იქცნენ სწორედ იმ საშუალო ფენად, პიტლერი რომ ეყრდნობოდა. მათი უფროსი ვაჟი ესეველი გახდა.

მამაჩემი ვუნდერკინდად ითვლებოდა, ბრწყინვალედ სწავლობდა ჰუმბოლდტ-უნივერსიტეტში, ეკონომიკურზე. ძალზე პროგრესულ სტუდენტთა წრეში მოხვდა. ბობოქარი კაცი იყო. „სტუდენტთა წითელ კავშირში“ საჭმიანობისთვის უნივერსიტეტიდან გამოიცილეს. მას შემდეგ ეურნალისტობა დაიწყო.

დედაჩემიც სპორტსმენი იყო და ისიც. ერთხანს გაეცნენ მუშათა სპორტულ გაერთიანებაში, რომელსაც „ფიხტე“ ერქვა. გაერთიანება იმაზე ზრუნავდა, რომ ხელმოკლე ბეჩავ მუშებს თავიანთ თავზე მეტი ეფიქრათ. მგონი, ჩემს სათქმელს ვერ ვამბობ გარკვეულად.

ნაცისტების დროს „ფიხტე“ ერთხანს საფრის მაგივრობას უწევდა იმათ, ვინც იატაქვეშეთში წავიდა. მერე მის წევრებს მძიმე ხეიდრი ერგოთ. ამის გამო ჩემმა მშობლებმა სამსახური დაკარგეს.

დედაჩემს, ხერდა-ირენ იოხეფს, ზუსტად თექვსმეტი წლის ასაკში, თავის მეგობრებთან ერთად უნახავს თქვენი პიესა

„მოვარე მარცხნივ“. ამ სპექტაკლში ერთი მხნე, სიცოცხლით სავსე ქერა ქალი (რალა ეგ და რალა დედაჩემი) მღეროდა და ცეკვავდა. პიესაში მას მაიკა ერქვა. მისგან ალტაცებულ დედაჩემს მეგობრებმა მაიკა შეარქვეს და ეს სახელი შერჩა კიდევ — მაიკა იოხეფი. „ჩვენს მაიკას — ასე დავაწერე მის საფლავის ქვასაც და ეს წარწერა ყველას ეკუთვნოდა.

დედაჩემი ყველასაგან გამორჩეული აღმანი გახლდათ. ამას ყველა გრძობდა. და, როცა ჩვენ მას დავემშვიდობეთ და მიწას მივაბარეთ, მაშინ უფრო მეტად ვიგრძენით, როგორი ძვირფასი პიროვნება დავგიკარგავს.

თუმცა მე რა? მუდამ მისკენ მივილტვოდი, ის კი ყოველთვის მაკლდა. მსახიობს ხშირად მოგზაურობა უხდებოდა. სულ განმორებების წუთებში მახსოვს.

აი ეს სიტყვები დედამ მასწავლა:

სალამოს ჰერი
გვაბრუნებს ვარდებით.
მე შენზე ფიქრებით
უფსკრულში გვარდები...
მისამღერიც ასეთია:
კარგო, კარგო,
ჩემო კარგო,
გვევდრები,
არ დამკარგო!

ქალაქური ფოლკლორია. დიდდამ შემაჩვია, რომ ეს მემღერა ყოველთვის, როცა დედა სადმე მიდიოდა და ვემშვიდობებოდით. მაშინაც, როცა შინ ბრუნდებოდა და ჩვენ სამივენი ვტიროდით.

ჩემი თავი სულ პატარაობიდან მახსოვს. 1939 წელია. დიდდღაჩემთან ვარ, ქუჩაში დავრბივარ: ომია! ომი დაიწყო! ჩემთვის ეს რალაც ძალზე დიდი, მაგრამ გაუგებარი მოვლენაა.


მამაჩემი ფრონტზე წაიყვანეს, ეფრეიტორი იყო. მისგან ცნობა დიდხანს არ მოგვდიოდა. ბოლოს, როგორც იქნა, დედამ მიიღო უცნაური ღია ბარათი — გაუგებარი რალაც. მოხდა კი საშინელება:

მათ ოცეულს ქალებისა და ბავშვების დახვრეტა უბრძანეს. მამაჩემმა განაცხადა უარი. მაშინ აიძულეს, დახვრეტას დასწრებოდა და... წონასწორობა დაკარგა. მესანგრე იყო და თავის მოკვლა უნდოდა. მწყობრში ყველაზე ბოლოს მიდიოდა, რათა აფეთქებისას სხვა არავინ დაშავებულიყო. მაგრამ ის თოვლში იპოვნეს დაჭრილი. დედაჩემმა და დიდდღაჩემმა ეძიეს და ბავარიაში მიაგნეს. დედაჩემი მიადგა თავის მახლს, გავლენიან კაცს — ესეიგლს. იმან უთხრა: რაც ჩაიგონა, კეთილი ინებოს და, იმის გამო პასუხი აგოსო.

ორმოცში იყო თუ ორმოცდაერთში ბავარიაში გაგვიძახეს. მამაჩემი ძალიან მიყვარდა, თუმცა იშვიათად ვნახულობდი. უფროსების საუბრიდან ის დავასკვნი, რომ მას არ გამოუშვებდნენ — შიზოფრენიით დავადებულად გამოაცხადეს. ორმოცდასამში ბავარიიდან სულით ავადმყოფთა სხვა ჰოსპიტალში გადაიყვანეს. იქ მოკვდა.

ჩვენ ბერლინში ერთ პატარა ოთახში ვცხოვრობდით და კიდეე პაწაწა სამზარეულო გვქონდა. ჩვენი კარის მეზობლად რომელიღაც ფაშისტის ოჯახი ცხოვრობდა. მახსოვს, ორმოცდასამში, დედაჩემის მეგობრებმა მოიყარეს თავი ჩვენსას. იატაკზე ისხდნენ და საბანზოურულნი უსმენდნენ ლონდონს. ასეთი „სახალხო რადიომიმღები“ მაშინ ყველას ჰქონდა. ეს აქცია იყო — თავისი მიმღები ყველას უნდა ჩაებარებინა, რათა უცხოეთის რადიოსთვის არავის მოესმინა. ამის სანაცვლოდ კი ლებულობდნენ ამ მომცრო, ნახევრად მრგვალ და თითქოს პირდაღებულ აპარატს. ამიტომ უწოდებდნენ მას „ჰებელსის დრუნჩს“.

იმ წელს ჩამაწვინეს თაბაშირში — ძვლის ჭლეტი აღმომაჩნდა. ჩვენს ბინაში ვიწეკი. ერთხელ დავგობმბეს, თანაც, მაგრად. დედაჩემი შინ არ იყო. ხალხლო, მიშველეთ, მიშველეთ-მეთქი, ვყვიროდი. განმრევა არ შემემლო. მთელი დღე საშინლად გვბომბავდნენ.



დედაჩემი მხოლოდ საომარს მოვიდა. — დააკავეს, დაჰკითხეს. ჩვენ ყველანი თავს გვარიდებდნენ, ხელს არავინ გვიმართავდა. დედას ჯერ ქვევით ჩავყავდი, შემდეგ კი უკვე ორივენი ზევით ვრჩებოდით. ერთხელ კარზე მოგვიკაკუნეს: ლამაზკულულებიანი ევა იყო. მე ის მიყვარდა. დაც ახლდა. როცა ებრაელების ძარცვა-რბევა დაიწყო, მათ თავს გამოქცევით უშველეს. თურმე, დამრბევებს დიდი ნოხის დათრევა უნდოდათ და ქალიშვილებმა უთხრეს, ჩვენ დაგეხმარებითო. იმათთან ერთად გამოუტანიათ ის ნოხი და სახურავ-სახურავ მოუღწვიათ ჩვენამდე.

როცა ომი დამთავრდა, რადიოთი გავიგეთ, რომ ეს საცოდავი დები დაჰაუში დალუპულან.

ორმოცდაოთხში მე და დედაჩემი იენაში გავიქეცი. დედა იმედოვნებდა, რომ ფრიც კრემერის მეუღლის დახმარებით გავიტანდით იქ თავს. კრემერი დღესაც ცოცხალია, ის ბუჰენვალდის ძეგლის ავტორია. სამოცდაათ წელი უსრულდებოდა, როცა მოსკოვში მისი გამოფენა მოეწყო.

დედაჩემი და ის თექვსმეტი წლის ასაკიდან მეგობრობდნენ. დედა მისი მოდელი იყო და პროგრესული შემოქმედებითი ახალგაზრდობის ჯგუფის წევრიც. კრემერის პირველმა ცოლმა, ჰანა ბერგერმა, მოციკვავებ, აისედორა ღუნკანის მიმდევრის, მერი ვიტმანის სკოლა დაამთავრა. ჰანამ დედაჩემი იენაში ჩაიყვანა, რათა დახმარებოდა მას — დედა ხომ უმუშევარი იყო.

და დედაჩემი მის თეატრში მუშაობდა — ჰანსი ერიდებოდა, მაგრამ მაინც მიიწვია. ეს საბავშვო თეატრი იყო, თანაც გრიმების ზღაპრების მიხედვით, და კიდევ, ბოროტ ფერიას „მძინარე მზეთუნახავში“. დედა შემდეგ ყოველთვის სიცოცხლით ამბობდა: მხოლოდ ერთი კარგი როლის თამაშმა მომიწია და ისიც ბოროტი ფერია, დედაბერი იყო. მეც გამოვდიოდი მასთან ერთად, მაგრამ ყველაფერი ეს სულ ცოტა ხანს გაგრძელდა — თეატრი დასრულდა.

იენაში დედაჩემმა მაჩვენა ის ადგილი, სადაც მასზე უიმედოდ შეყვარებულმა ბოშა მევიოლინემ თავი მოიკლა. ეს ჯერ კიდევ ჩემს დაბადებამდე, ოცდაათიანი წლების დასაწყისში მომხდარა.

მე და დედაჩემი ბერლინის რომელიღაც მიწისქვეშა რკინიგზის სადგურში ვისხედით. იქ გამოეფინათ ცნობილი სურათი: ჰიტლერი დახრილია, ჩემი კბილა, ამერიკელ ვუნდერკინდ მსახიობ შირლი ტემპლის რომ ჰქონდა, იმგვარი მოღურკულულებიანი გოგონასკენ. ჰიტლერს ფორმა აცვია, არ იღიმება. გოგონა თაიგულს უწვდის. თავზე ადგას ხელოვნური ყვავილების გვირგვინი — ასეთი გვირგვინებით დღემდე იმკობენ თავს დღესასწაულებზე.

ამ სურათს ყველგან ნახავდით. „ვაიმე, ნეტა, მეც ასე მანახა ის, მეც მანახა!“ ჰიტლერის ნახვა ხომ ყველაზე სანუკვარი ოცნება იყო. „უკეთესი იქნებოდა, შენ ის არანაირად და არასოდეს არ გენახა! თუ რატომ იქნებოდა ეს უკეთესი, ვერ გამეგო, მაგრამ დედაჩემი რასაც იტყოდა, ჩემთვის კანონი იყო. სწორედ მაშინ მითხრა მან: „თუკი ვინმე რამეს გკითხავს, ასე უპასუხე: დედაჩემს ჰკითხეთ და ის უკეთ გეტყვით ყველაფერს-თქო“.

მე ეს დავიხსოვებ. ორმოცდაოთხის შემოდგომაზე ბერლინში დავბრუნდით. დავწეკით. გვიჩანს.

დილის ექვსი საათი იქნებოდა, რომ კარზე მოგვიკაკუნეს. სამნი იყვნენ, სამოქალაქო ტანსაცმელი ეცვათ. გესტაპოს ყოველთვის სამოქალაქო ტანსაცმელი აცვია. „ადექით! სამხარეულოში ვადით!“ და ჩვენი ბინის ჩხრიკას შეუღდნენ.

ცხრა წლისა ვიყავი. სამხარეულოში დედამ თქვა: „მადლობა ღმერთს, იქ მხოლოდ ერთი წერილია, სხვა არაფერი“.

ოთახში შეგვიშვეს გადასაცმელად — ჩვენ ხომ ლოგინიდან აგვყარეს. საცვლების ამარა ვიყავით. დედამ თხოვა მათ, წუთით გასულიყვნენ, ქალები ვართო. შიგნით უკვე ყველაფერი გადაქეპილ-გადაქოთებულ იყო. მაგრამ წერილი ვიპოვეთ — ვერ უნახავთ. დედამ მოასწრო ჩემს ჩანთაში ჩაჩურთვა. მე ყოველთვის მიყვარდა ჩანთები, ეს კი თითქმის ქალის ჩანთა იყო და ამიტომ გამორჩეულად მომწონდა. ქვევით ჩავიდით.

შავი, ძალიან შავი მანქანა. შემოდგომის მოღრუბლული დღა. საესებით წყნარი ქუჩა. და ეს ძალიან, ძალიან შავი მანქანა. დედას ოდნავადაც არ შეტყობია შიში. თითქოს, ჩვეულებრივი რამ ხდებოდა. ღია ფერის სპორტული ლაბადა ეცვა. ისინი გვაჩქარებდნენ: „შნელ! ტემპო!“ მანქანაში ჩავსხედით. მგონი, შევცდი: — ისინი ორნი იყვნენ, მესამე საჭეს უჯდა.

მომეჩვენა, რომ ძალზე დიდხანს მივყავდით. შესაძლოა, ასეც იყო.

ციხე. უფრო სწორად, ეს შენობა მათ ხელში იქცა ციხედ. ახლა იქ ძალზე მშვიდობიანი ხალხი იღვწის — კოოპერატიული სავაჭრო გაერთიანებები და მათი ადმინისტრაციული ბიურო. მე მათთან ვიყავი, ვუამბე, რაც ხდებოდა აქ. საკმაოდ გულგრილად მისმენდნენ. ეს სახლი ნაციზმამდეც მშვიდი სახლი იყო, მაშინ კი დროებითი საპატიმრო ციხე გახლდათ. ორანი-ენბურგერშტრასე. ორანიენბურგში მოხვედრილი კაცი გარეთ ვერ გამოვიდოდა. ბერლინის მთავარი სინაგოგის გვერდით იდგა. ის „ბროლის ლამეს“ დაწვეს (ასე ერქვა ნაციისტების მიერ ორგანიზებულ დარბევას). დარჩა მისი ფსაფი. ახლა მასზე სამახსოვრო დაფა გამოკრული. მომავალ თაობებს აფრთხილებენ, რომ მსგავსი რამ არ გამეორდეს. ამ ორი წლის წინათ სხვა სინაგოგა გახსნეს სახეიმა ცერემონიებით.

აქ ბნელაში აგვიყვანეს ზევით, მგონი, მეორე სართულზე. ღერეფანი, მერხები, საესე ხალხი. დედამ თქვა: „შენს ჩანთაში წერილია. საპირფარეოში წახვალ და დაკუწავ.“ ყველაფერი გავიგე, კარს ვაღებთ. იქ გესტაპოელი დგას. თითქოს გველია, კობრაა, წელში გაიმართა და სივსად დამგესლაგს ნაცრისფერი, ძალზე ცივი, უმოწყალო თვალები. თითქოს ახლაც ვხედავ იმ თვლებს.

მე მთლად მოვიკუნტე, მოვიბლუნძე და წავიდი იქითკენ, საითაც უნდა წავსულიყავი — საპირფარეოსაკენ და, როცა წყალს ვუშვებდი, წერილი დავკაშუე. სამინლად დაძაბული ვიყავი.

დედასთან მივბრუნდი. — „ჰქენი?“ — „ვქენი“ და მაშინვე გავგიყვანეს. რამდენიმე წუთის შემდეგ უკვე ყველაფერი გვიან იქნებოდა.

დიდი უტიხრო შენობა. ბევრი მაგიდა. უკვე სხვები დაგვიკითხავენ, არა ისინი, ვინც აქ მოგვიყვანა. მბეჭდავი ქალები აკაკუნებენ, დაკითხვას იწერენ. ოთხნი იდგნენ პირით კედლისკენ. ოთხივეს უხეში ყავისფერი ტანსაცმელი ეცვა. ისინი ფრან-

გი სამხედრო ტყვეები იყვნენ. მე ვიცნობდი დედაჩემის ერთ ფრანგ მეგობარს. მე რომ ვნახე, მაშინ მასაც ასეთვე ტანსაცმელი ეცვა. ის დედაჩემს — გააპარა. მათი გამოძიებელი, წითური კაცი, ძალიან ცდილობდა, რალაცაში გამოეტეხა დედაჩემი. ერთ მომენტში დედამ ესა თქვა: „ეს ბავშვები დედაჩემს მიუყვანეთ, საბავშვო სახლს ნუ ჩააბარებთ“.

ავტირდი. ორი ფრანგი ჩვენსკენ შემობრუნდა, რალაც გვითხრეს. გამოძიებელმა მაშინვე მათრახი აიღო და გადაუჭირა მათ. ერთი მათგანის სახეზე სისხლი დავინახე და უფრო ხმამაღლა ავტირდი. გამოძიებელმა მითხრა: „ორშაბათამდე მიგყავს“. დედამ ამ გაწამაწიაში მოასწრო, ეთქვა: „შენ არ დააჯერო“.

პარასკევი. ორმოცდაოთხის შემოდგომა.

გადამცეს წითელ ჯვარს. წითელი ჯვარი ყოველ სადგურზე იყო. დედაჩემის მოლოდინში ორი ღამე ლორტერის სადგურში გავათენე. ის ახლა აღარაა, დანგრეულია და ჯერ არ აღუდგენიათ. კვირას მთელი დღე წითელი ჯვრის კართან ვიდექი, რათა არ გამოძარგოდა დედაჩემის მოსვლა. გარეთ ხალხი მიმოდიოდა, ტრადიციულად სეირნობდნენ ოჯახები.

ორშაბათს ის გამოძიებელი ჩამოვიდა და განმარტესა საბავშვო სახლში, რომელიც ომით დაობლებულთათვის შექმნეს. ჩემს ბედში მყოფი იქ სხვა არავინ იყო. დღისით ბისდორფში, ბერლინის გარეუბანში ვიმყოფებოდით, ბარაკში, სალამოს კი ღრმად მოხუცებულთა სახლის სარდაფში უნდა ჩავსულიყავით. იქ, თავმესაფარში, საწოლებზე დავეყრებოდით ხოლმე.

მე ყველას ვუყვარდი. დავუმეგობრდი ბავშვებს. მხარეულებს ვენმარებოდით. მახსოვდა დედაჩემის მისამართი, მაგრამ საბავშვო სახლის დირექტორი უკვე დაკავშირებას მას. დიდდისსაგან კი დედაჩემსაც ვუყვარდი, ჩემი ადგილსამყოფელი. დირექტორი ლატვიიდან იყო, გერმანელი. მან ერთხელ მითხრა: „საბჭოთა ადამიანებს შური რომ ეძიათ ყველაფრის გამო, ჩვენგან აღარაფერი დარჩებოდაო“. ის მორწმუნე ვახდა. „ამ საშინელებათაგან თავი მხოლოდ ღმერთს შეიძლება შეაფარო. ჩვენ ადამიანები არ გვაპატიებენ“. და ჩვენზე ზრუნვა გახდა მისი პირველი საქველმოქმედო საქმე.

ჩვენ გვეუბნებოდნენ: რუსები ყველა ბავშვს ყურებს დააჭრიანო. მაგრამ დირექტორმა გვითხრა: „ნუ გეშინიათ, ისინი ავი, ბოროტი ადამიანები არ არიანო“.

ის დიდტერიაში შეიწვია... ბავშვთა სახლში მოულოდნელად მოაბიტის საპყრობილიდან დედისგან დედოფალა მომივიდა. ისინი იქ სათამაშოებს აკეთებდნენ. ეს დედაჩემს მოუგონებია: მას არ შეეძლო, საკანში დარდისთვის სხვაგვარად გაეძლო.

ღმერთო ჩემო, რა იყო ის დედოფალა ჩემთვის! როცა კაბა გავხადე, ბარათი გნახე... მოაბიტის საპყრობლის ზედამხედველს მივწერე: „თქვენ რომ დედა გყავდეთ და ის საპყრობილეში იჯდეს... დამიბრუნეთ დედაჩემი“.

ერთხელ რომელიღაც კრაიზლიატერის დაბადების დღის გამო „დელეგაციაში“ ჩამრიცხეს. ჩვენ უნდა მიგველოცა კრაიზლიატერისთვის. ზეპირად უნდა წავგვეკითხა ლექსი, რომელიც სამად იყო გაყოფილი: მე ერთი ნაწილის წაკითხვა დამე-



ვალა. ორმა სხვა გოგონამ შიშისგან ხმა ვერ ამოიღო და მხოლოდ მე წავიკითხე. მან მე შემაქო, მოვეწონე, როგორც ინტელიტუალური გერმანელი ბავშვი. შემდეგ გაიგო, რომ დედაჩემი დაბატობის ბუღალა. მისმა გულს აჩუყებამ გაზის ლუმელს გადამარჩინა. გადაწყდა, რომ ხელახლა აღსაზრდელად ფაშისტური ოჯახისთვის მივებარებინეთ.

ბავშვთა სახლში ჩვენ გვემსახურებოდა „გერმანელ ქალიშვილთა კავშირი“. იმიტომ რომ ჩალამოს, უკვე წამოწოლილი, ვიცინოდით, მორიგევი გამოძახა და დამსახა: შიშველ ბეტონზე ორი საათით ფეხშიშველა დგომა მიბრძანა... და მაშინვე დიფტერიით ვავხდი ავად. როცა ცოტათი მოვიკეთე, ფაშისტური ოჯახს მიმბარეს. იქ ყველაფერი გამომიკითხეს. მე ასე ვპასუხობდი: „დედაჩემს ჰკითხეთ და ის ამაზე უკეთ ვიპასუხებთ“. და ვლუმდი.

დედაჩემმა შემდეგ მითხრა, რომ მე ჩემი დუმილით ის გადავარჩინე. დედას ებრაელების დახმარებასა და ფრანგი სამხედრო ტყვეების გაპარებაში აღნაშაულებდნენ. სიკვდილი ემუქრებოდა. იმ ოჯახისაგან დიდებამ გამომისყიდა... პური და სივარტეებით.

დიდედაჩემი და პაპაჩემი ბერლინის ახლოს მდებარე იუტებორგში გადავიდნენ და იქ ვცხოვრობდით სხვენზე. ადგილობრივი მოსახლეობა ჩვენ, ლტოლვილთ, ძალზე ცუდად გვექცევდა. ვმომშობოდით. ისინი ჯერ კიდევ მაძლრად იყვნენ. დიდდა ახალ ბალახს აგროვებდა, მე და პაპაჩემს გვაპურებდა. თვითონ კი მთლად შიმშილობდა და შიმშილის ეპიდემიით დაავადდა.

ოცი აპრილი, ჰიტლერის დაბადების დღე. ყველა ქუჩა ცარიელია. ისმის ზარბაზნების გრაილი და შემოწუნებული ძახილი: „რუსები მოდებან!“. სურდაფში ჩავგყარეს. როცა სარდაფში პირველი რუსი ჯარისკაცები ჩამოვიდნენ, ვვითხრეს: „გამოდით და თქვენ-თქვენს სახლებში წადითო“.

ათი წლისა ვიყავი, მაგრამ ტანად უფრო დიდი ვიხანდი. ამიტომ დიდდაჩემს ეშინოდა და საწოლქვევ დამშალა. შემდეგ ვადიფიქრა და ისევ საწოლზე დამსვა. ამ საწოლზე დედოფალთაი ხელში მჯდომარე, შესაძლოა, ათი წლისაზე პატარადაც კი გამოვიყურებოდი. მე დაძმები არა მყავდა, მარტონელა ვავიზარდე და ამიტომ განსაკუთრებით მიყვარდა ჩემი წითელქულა დედოფალი. დედაჩემი შემდეგ მას „სამხედრო წითელქულას“ ეძახდა.

რუსი ჯარისკაცი შემოვიდა და საათითხოვა. არ გვექონდა. ჩემს ლოგინთან დადგა და პირქუშად მომაჩერდა. მე დედოფალა ვაფუწოდე. მან მოულოდნელად თავზე გადამისვა ხელი და ისე წავიდა, დედოფალა არ წაუღია.

მეორე დღეს სამხედროები საჭმელს იძლეოდნენ. ხალხს ეშინოდა, მოწამლული იქნებოდა. მე ულუფა პირველმა ავიღე, შემდეგ სხვებმაც აიღეს.

ბედმა გამიღიმა — იმ დღეებში ყველა სიავე ამცდა.

დიდედაჩემს ჯერ ისევ შიმშილის ეპიდემია სჭირდა, როცა ვავიგონე: ინგრიდ... დედა მეძახდა. მან მოაბიტის ციხიდან ფეხით და კიდევ ვინ იცის, რით მოაღწია აქამდე. თავისი ფრანგი მეგობარიც ნახა. მისთვის წვრილმანები არ გამომიკითხავს. ახლა კი ეს დავვიანებულა.

წარმოგიდგენიათ, მათ ჯერ კიდევ ციცი-

ხლში მოგუზგუზე ბერლინში მონახეს ერთმანეთი. ფრანგს მისი პარიზში წაყვანა უნდოდა. დედაჩემმა უთხრა: „შენ ჯერ ოჯახში მიდი, და მერე თუ მოვიანდება, შემატყობინეო...“ და დედა ელოდა, ელოდა.

შემდეგ გაიგო, რომ ფრანგი თავის ოჯახს შეეწყო. დედაჩემი მას სიკვდილამდე ელოდა. პარიზში ცხოვრებაზე ოცნებობდა და ეწადა, მარად ახალგაზრდა ყოფილიყო, რომ ფრანგს ასეთი ენახა. ყოველთვის მუქ-ცისფერი მაუდის შარფს იხვევდა. შარფი მას ფრანგულად დაუტყვავა. არასოდეს იშორებდა. მონ შერი, ჩემო საყვარელოო, — იტყოდა ხოლმე და მოფერებით გადაუსვამდა შარფს ხელს. ფრანგი, თურმე, ოდესღაც დედასაც ასე ეძახდა: „სადაა მონ შერიი?“ და ჩვენ ვიცოდით, რომ დედა შარფს ეძებდა.

მე დედაჩემს შევპირდი, რომ შარფს შევიანახავდი და, თუ პარიზში მოვხვდებოდი, მის მეგობარს მოვძებნიდი და ამ შარფს გადავცემდი.

ომის დამთავრებიდან ოთხი წლის შემდეგ დედაჩემი ვაიმარში იხმო მაქსიმ ვალენტინმა. მე თქვენ ვითხარით. რომ ვალენტინი ემიგრაციიდან დაბრუნდა და თეატრალური დასი დაარსა-მეთქი, და ლოტე ლებინგერმა, ცნობილმა არტისტმა (ის ომის დროს დიქტორი იყო მოსკოვში). დედაჩემს ჰკითხა: მაიკას რატომ ვეძახიანო? დედაჩემმა უამბო. თურმე, ლოტეს უთამაშია ის როლი პიესაში „მთვარე მარცხნივ“. თეატრი ბერლინში გადაბარგდა და გორკის სახელობისა გახდა.

და დედაჩემი თამაშობდა იმ თეატრში. მაგრამ ვალენტინი ავად გახდა, ანსამბლიც დაიშალა, ბევრნი წამოვიდნენ და დედაც წამოვიდა. ტელევიზიაში დაიწყო მუშაობა, დედაში იღებდნენ. კომიკოსი იყო, ეს მისი ბუნებიდან გამომდინარეობდა. სახსიათო, მეორეხარისხოვან როლებს ასრულებდა. ცნობილი მსახიობების გვერდით თამაშობდა. თუმცა მისი საუკეთესო წლები უკან დარჩა.

დედაჩემს უნდოდა, რომ მსახიობი გავმხდარიყავი. ადრე, სულ პატარა, ვთამაშობდი, ვმღეროდი. არც მიფიქრია, ეს ჩემი პროფესია თუ შეიძლებოდა გამხდარიყო.

მუშუაჯის ბოლო წელს, ოცდაცამეტში მოხდა ჩემი ცხოვრების მთავარი ამბავი, აი, რა და როგორ მოხდა.

მე ვმეგობრობდი ერთ ქალიშვილთან, რომელიც ლატვიიდან იყო და რუსულად ლაპარაკობდა. მის ჯგუფს უნდოდა მეგობრული სალამოს ჩატარება და ორი რუსიც მოიწვიეს. მაგრამ რატომღაც, სალამო გადაიდო და საჭირო გახდა მათი ვაფრთხილება. რატომ გადაიდო, ეს უკვე აღარ მახსოვს. თან მთხოვა: წამომყევი, მათთან მარტო მისვლა მეუხერხულებო. სიამოვნებით წავყევი, მათი ნახვა მაინტერესებდა და მიხლოდა, თუნდაც ცოტა, შესაძლებლობისამებრ, რუსულად მელაპარაკა.

რაკი სალამო აღარ ტარდებოდა, კაფეში დაგვპატიყეს. ერთი მათგანი, დედოფალი რომ შევთავაზე და თავზე ხელი გადამისვა, იმ ჯარისკაცივით შავთმიანი იყო. მე მას ვკითხე, საიდანა ხართ-მეთქი. საქართველოდანო მიპასუხა. მხოლოდ ის ვიცოდი, რომ საქართველოში სტალინი დაიბადა. და მე მოულოდნელად ასე გამიღიმა ბედმა, ღმერთო, ჩემო... ეს კაცი იქიდანაა, საქართველოდან?! მე, დედაჩემსა და დიდდაჩემს დავიყვარდა „სულიყო“ და ახლა სახელდახლოდ წავუმღერე. თანაც

ვითხვე „სულიყო“ ქართული ტექსტიდან იქვე, მენიუზე წამიწერა. აღზნებულ ვიყავი. რალაცნაირმა გრძნობამ შემბაპყრო. როგორ და რამ, არ ვიცი... მესმა გამგებია. ეს პირველი სიყვარული იყო...

შევთანხმდით, რომ შევხვდებოდით ერთმანეთს, ვისეირნებდით. საერთო საცხოვრებელში, ჩემს ოთახში ვცეკვავდი, ვმღეროდი. ჩემს გარდა, ყველანი გამოცდილები იყვნენ. ისინი ჩემი სიხარულის გამო იცინოდნენ.

მართლაც, ერთიც ვნახოთ და, ეს რომ სერიოზული გრძნობა არ იყოს? მაშინ, აჯობებს, თავს მოვერიო. კარგად უნდა გამოვცადო ჩემი თავი.

და მე არ წავედი თაღქვეშ პაემანზე, ძლივს ვუძლებდი ამგვარ ტოჩავას. ის კომუნისტურის მანქანით მოვიდა, საერთო საცხოვრებელში ცოფიანივით შემოიჭრა. იენის გარეუბანში ვავედი. მაშინ მას არ შეეძლო, თავისუფლად შეხვედროდა გერმანელ ქალიშვილს.

შემდეგ ყოველთვის დათქმულ დროს მივდიოდი თალთან და სასეირნოდ მივემართებოდი.

ერთხელ გვიან დავბრუნდით. საერთო საცხოვრებელში ღამე კარი იკეტებოდა, თერთმეტის შემდეგ არ უშვებდნენ. მან მითხრა: თუ არ შევიშვებენ, შეგიძლია ჩემთან გაათენო. ასეც მოხდა. კარი არ გააღეს და მას ვავყევი. ძალიან ახლოს ცხოვრობდა, კომუნისტურის სახლში და მასთან დავჩრჩი.

მე ახლა მესმის მისი... და ვაპატიე, შეეძლო ეფიქრა, ქუჩის ქალი ვიყავი. მან ხომ არ იცოდა, თვრამეტი წლის ასაკში რომ შევხვდი პირველ საყვარელ ადამიანს და ჩორწინება სწორედ ეს მეგონა.

ჩვენ რვა ნოემბერს ვავიციანით ერთმანეთი და დეკემბრამდე ხშირად ვხვდებოდით. ჩვეულებრივ, სამოქალაქო ტანსაცმელი ეცვა. სამხედრო ფორმით მხოლოდ ორჯერ ვნახე — მფრინავი იყო, უმცროსი ლეიტენანტი. იმ დროს მისთვის სარისკოც კი იყო გერმანელ ქალიშვილთან ასე აშკარად შეხვედრა. ეს ჩემთვის არ უგრძობიანებია. რესტორანში გულუხვად მიმასპინძლდებოდა. კარგად დამაპურებდა ხოლმე. მე ხომ ვმომშობოდი. მცირე სტიპენდია მქონდა. მაგრამ ისე ვეღვალი, არაფრის ჰამა არ შემიძლო და საერთო საცხოვრებელში მშვიერი ვბრუნდებოდი.

დეკემბერში მან მითხრა, შევბუღებას ვიღებ და მივდივარო. არ ვიცოდი, რა ხდებოდა ჩემს თავს. ექიმთან მივედი და მან ჩემი შიში დაუდასტურა. არ მიხლოდა მისთვის შევბუღების ჩამწარება და არაფერი ვუთხარი. „რა ჩამოგიტანო“, — მითხრა დაშვიდობებისას. „მხოლოდ ჩამოდი“...

ის აღარ დაბრუნებულა. დედა ჩამოვიდა და ექიმთან წამყვა. ექიმმა უარი გვითხრა: „სამწუხაროდ, არ შემიძლია დაგეხმაროთო“. ამისთვის აპატიმრებდნენ და ექიმის სამუდამოდ კარგავდა დიპლომს.

დედამ მითხრა: „ჰოდა, არც არაფრის გაკეთება არაა საჭირო. ეს ხომ პირველი ორსულობაა“.


თვითონაც ეს მიხლოდა. დაე, სამუდამოდ დამჩრქეს მისი ხსოვნა. ეს მოსასხამი როდია, მხრებიდან მოიშორო და სადღაც მიაგლო.

დედა ბერლინში, სამსახურში დაბრუნდა.

(დასასრული მ-20 გვარდუ).

10781

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა



პაპაჩემი და დიდდა უკვე ცოფს ყრი-
დნენ: როგორ თუ რუსისგან ვაჩენდი
შვილს! საერთო საცხოვრებელში დამლა-
გებლებს ვეცოდებოდი, როცა ისმენდნენ,
როგორ ვმღეროდი რუსულ და ქართულ
სიმღერებს. ისინი ფიქრობდნენ, რომ ამქვე-
ყნად უშუბელურესი ადამიანი ვიყავი. ეს
კი ჩემთვის ყველაზე ბედნიერი დრო იყო:
მე ხომ მშუცლით საყვარელი ადამიანის
შვილს ვატარებდი. ის არ დაბრუნდა, მაგ-
რამ ეს გარემოებათა ბრალი იყო და არა
მისი.

როცა კუბამ, ახლობელმა პოეტმა, დე-
დაჩემისგან გაიგო, რომ ასეთ ბავშვს ვა-
ჩენდი, საქართველოდან ქართული „ვეფ-
ხისტყაოსანი“ ჩამომიტანა. მას შემდეგ
რუსთაველის წიგნის სხვადასხვა ენებზე
გამოცემათა მთელი კოლექცია დამიგრო-
ვდა.

ქართველები, თურმე, ასე ამბობენ: ორ-
სული ქალი ვისაც უყურებს, ბავშვიც იმ-
ას დაემსგავსება. და მე დავყურებდი
რუსთაველის პოემის მოყმეს, მომხიბვლ-
ელ რაინდს. ქალიშვილი მინდოდა. ამბობ-
ენ, ქალიშვილები უფრო მამას ემგვანები-
ანო. მაგრამ ვაჟიშვილიც მინდოდა, რომ
მისი სახელი გამეგონა ხშირად. დავიწყე
მისი ქვეყნის, ქართული მუსიკის, სა-
ქართველოს ისტორიის გაცნობა. ჩემთვის
ახალი სამყარო აღმოვაჩინე. თუმცა ყვე-
ლაფერი ეს შემდეგ მოხდა.

იენის ახლოს იყო ერთი სამშობიარო
სახლი. მელოდებოდნენ: პაციენტები თი-
თქმის არ ჰყავდათ, მაგრამ ტანჯვით ვი-
შობიარე. ჩემი ვაჟიშვილი კუჭის სპაზმით
დაიბადა, სულ ასაქმებდა. ამის მიზეზი ჩე-
მი ნერვიულობაა.

შემპირდნენ ადგილს ბავაში. მითხრეს,
რომ იქ ბავშვი ყველაფრით უზრუნველ-
ყოფილი იქნებოდა. მაგრამ უპირატესობა
დასაყვარლებს ენიჭებოდათ და მე უადგი-
ლოდ დავრჩი. არავითარი მხარდაჭერა არ
მქონია. ბავშვს ვერსად ვაწვევდი. სტიპენ-
დიის ამარა ვიყავი. გოგოებმა სალაც
ციმის მოსახელი ვარცხნილი გამონახეს და
ბავშვი შიგ ჩააწვინეს, ვინ რა მოიტანა და
ვინ რა: ეს საბანიო, ეს ზეწარიო, ეს ესაო,
ეს ისაო.

ჩემმა და-ქალმა დამიჩემა: ბავშვი გაი-
ზრდება და მამამისს იკითხავს, შენ ის უნ-
და მოძებნო.

კომენდატურა ჩვენი საერთო საცხოვ-
რებლის გვერდით იყო. იქაური გუშაგები
კითხულობდნენ: „გოგოებო, საით გარბი-
ხართ? დაიცაო, ინგრიდს რა ეყოლა?“

მე განმარტება დავწერე და კომენდატ-
ურას გადავეცი. ვწერდი, რომ ახალშობ-
ილს მამამისის სახელი დავარქვი და ვთხო-
ვდი, ეს მისთვის ეცნობებინათ.

პასუხი არ მიმიღია. შესაძლოა, ისე ვერ
გავაკეთე, როგორც წესია. მაგრამ მაშინ
ამაზე არ ვფიქრობდი. ჯანი მქონდა გატე-
ხილი. ბავშვს წუთითაც ვერ ვცილდებო-
დი და ამას ასეთი განცდებიც ზედ ემატ-
ებოდა.

გოგოები არ მასვენებდნენ:
— ასე ხომ მოკვდები. წამო, ვიცეკვო-
თო.

ჩემთვის ყველაფერი სულერთი იყო.
ვიღაცამ ბავშვთან დარჩენა იკისრა. გო-
გოებმა იძალავეს და რკინიგზელთა სახ-
ლში წამიყვანეს. არ შეგვიშვეს. იქ რალ-
აც დახურული კრება ტარდებოდა. კლუბს
ცოტა რომ დავცივდი, ერთი ჩემი და-
ქალი შემოგვხვდა.

— ვაიმე, ვინ ვნახე კლუბში, თუ იცი
ხვალ გაამბობ.

— თენგიზი ნახე? — ჩიქურ ვკითხე.

ჩემს თანამგზავრებს ვუთხარი. თქვენ
წადით, მე მალე მოვალ-მეთქი. გადავწყ-
ვიტე, რომ, რაკი აქ იყო, უეჭველად მოვ-
ნახავდი. ჩემი დატოვება არ უნდოდათ. ში-
შობდნენ, თავს ვერ შევიკავებდი და რა-
ღაც სისულელეს ჩავიდენდი.

...კლუბში შესვლა დაჟინებით ვთხოვეთ.
შეგვიშვეს. როგორც კი კიბეზე ავიდით,
ისინი ერთ მხარეს გავგზავნენ, მე კი მეო-
რე მხარისკენ გავემართე. და მაშინვე და-
ვინახე მისი ზურგი. ის მამაკაცთა პატარა
კომპანიაში იჯდა. მასთან მსხდომნი მომა-
ჩერდნენ.

მაშინ მეუბნებოდნენ, რომ მშობიარო-
ბის შემდეგ ძალიან ლამაზი ვიყავი. ანდა,
შესაძლოა, მათ, უბრალოდ, ის შენიშნეს,
რომ უცნაურად ვიყურებოდი მათკენ. თე-
ნგიზს რაღაც ჩაულაპარაკეს და ისიც მო-
ტრიალდა. დამინახა, დტოვა ამხანაგები
და ჩემთან მოვიდა.

გოგოები საერთო საცხოვრებელში გა-
იქცინენ ბავშვის მოსამზადებლად და ყარ-
აულის გასაფრთხილებლად.

— შენ ცოლი გყავს?
— მყავს.

არ შემიძლია გადმოვცეთ, რაც ვიგრძე-
ნი, ეს იყო სრული სიცარიელე. თითქოს
მარტო ვიყავი და არაფერი გამიგონია.

მან დაიწყო ლაპარაკი თვითმფრინავის
ავარიისზე.. თითქოს დაშავდა და საავადმე-
ოფოში უცნობმა ქალმა თავისი სისხლი
მისცა. ის დაქორწინდა იმ ქალზე (ეს ჩემი
მოვალეობა იყო). ახლა ვიცი, რომ ეს
ზღაპარია.

მაშინ კი გონს მოვეგე. უცებ სხვა ძა-
ლა ვიგრძენი: ჩემს მხარეზე ბავშვი იყო.
მე ვუთხარი: „უნდა გადავწყვიტო, ვისთან
ხარ, მასთან თუ ჩვენთან“.

იქ, საერთო საცხოვრებელში, ყველაფე-
რი მოემზადებინათ. მაგრამ ის არ წამო-
ვიდა. და მაინც მეცხრე ცაზე ვფრინავდი.
ასეთი გამოთქმა არსებობს მგონი, არა?
ახლა უკვე ვიცოდი, რომ მას კვლავ ვნახ-
ავდი. ჩვენ ამაზე შევთანხმდით. ეს-ესაა,
მე ის მოვანახე.

მოულოდნელად სწორედ მაშინ გამგზა-
ვენეს კურორტზე, სანატორიუმში. თურმე
ძლიერ ცუდად ვიყავი. სასწრაფოდ შირ-
კაში უნდა წავსულიყავი.

იქ ორი დღე-ღამე სულ ვტიროდი. —
ქალებმა უთხრეს ექიმს, რომ უკან დავე-
ბრუნებინეთ.

ტაქსი ვიჭირავე და იენაში დავბრუნდი
ბავშვითურთ, რათა დათქმულ დროს აღ-
გილზე ვყოფილიყავი. იქვე, თაღქვეშ.

გოგოები მომენმარნენ ბავშვის მომზად-
ებაში. რასაკვირველია, თუ ის ისურვებდა
თავისი შვილის ნახვას. საღაც სანაგვეზე
საბაჟო ეტლი მონახეს. კომენდატურის
გუშაგები ამ ფაციფუსს რომ ხედავდნენ,
ჩემს და-ქალს აჩერებდნენ: „დაიცაო,
გოგოებო, რაო, ინგრიდი ძვირფას სტუ-
მარს ელოდება?“ ...

ის არ მოვიდა.

გამოცდები დავეწყო. პირდაპირ მკვდა-
რი ვიყავი, ვერაფერს ვსწავლობდი, ვერა-
ფერს ვიმასწავრებდი. ჩვენმა პედაგოგმა
მიბრძანა, ხელი არაფრისთვის მომეკიდა
და ყველას ავალედა ჩემთვის მოეხელათ.
ორი-სამი კვირა გავაღა და ჩემს თავს
დავუწყე ჩავიგებო, რომ ის რაღაცნაირი
სიზმარი იყო და სინამდვილეში არავინაც

არ მინახავს. თითქოს კიდეც დავარწმუნე
თავი ამაში და ამ დროს და-ქალებმა ისევე
იძალავეს და წამიყოლიეს. — ცდილობდნენ,
გავერთეთ. ცეკვავდნენ, მხარტულნი
მე კი მარტონელად ვგრძობდი თავს.
დარბაზიდან გამოვედი.. და პირდაპირ თე-
ნგიზს ვვახელი.

— რას აკეთებ აქ?

— ჩემს ჯგუფთან ერთად ვარ, საცეკ-
ვაოდ წამომიყვანეს.

— ეს საშენო ადგილი არაა.

მკითხა, ბავშვი როგორააო. ავადმყოფ-
ობს-მეთქი, ვუპასუხე.

— კარგი, ჰო, იმედს ნუ გადაიწყვეტ.
მეორე ბავშვიც შეგვეძინება.

ახლა უარობს, ასე არ მითქვამსო.

ფულის მოცემა უნდოდა. მთელი ჩემი
სტიპენდია შირკიდან ტაქსზე დამეხარჯა.
მაგრამ მისთვის ფულის გამორთმევა არ
შემეძლო. ჩანთაში ძალით ჩამიჩურთა,
ასი მარკა. ცივად გადავაგდე.

გრძელი წერილი დავწერე — გერმანუ-
ლი იცოდა. როცა შევხვდით, წაიკითხა და
მითხრა „შენ რომ რუსეთში ცხოვრობდი,
ჩვენ დავქორწინდებოდიო“. იქნებ, ყვე-
ლაფრის მიზეზი სწორედ ესაა. არ შეიძ-
ლებოდა ის ჩემზე დაქორწინებულიყო, არ
შეიძლებოდა.

ბავშვი კიდეც უფრო მძიმედ დაავადდა.
საფრთხე ელოდა. ძლივს გადაარჩინეს სა-
ავადმყოფოში. დედაჩემი ჩამოვიდა და წა-
იყვანა. მას შემდეგ დედასთან იზრდებო-
და. ჩემი ბიჭი მისი ღმერთი იყო.

ბერლინს გავემგზავრე შვილის სანახა-
ვად. „როცა ჩამოხვალ, მომიყევი ყველა-
ფერი, — მითხრა მან. — ჩვენს ადგილზე,
თაღქვეშ შეგხვდებით“.


მე ჩამოვედი. ის გაქრა. ეს უწინდელზე
უარესი ამბავი იყო. მოსკოვში მიგწერე
წერილი მოკითხვამდე, როგორც ის მირ-
ჩევდა. მაგრამ, თურმე, სიცარიელეს ვწე-
რდი.. ავად გავხდი.

გავიდა წლები. მე ლაიფციგში ვამთა-
ვრებდი პედაგოგიურ ინსტიტუტს, გერმა-
ნული და რუსული ენების განყოფილებას.
თანაც სტუდენტთა გუნდში ვმღეროდი.
ერთ ბულგარულ სტუდენტს გავეცანი. ის
სოფიიდან ჩამოყვანა ანსამბლს. იმ დღეებში
ერთმანეთს ვხვდებოდით. მთელ თავისუ-
ფალ დროს ერთად ვატარებდით.

მიჩვენებოდა, რომ ბულგარეთი თითქ-
მის იგივე საქართველო იყო და ბულგარე-
ლებიც სამხრეთული ტიპის მუქთმიანი
ხალსს ტყუპის ცალივით ემგვანებოდა. და,
როცა მან მიმიწვია სტუმრად, როგორც
თავისი საცოლე, დავთანხმდი. ბულგარე-
თში მკაცრად ეკიდებიან გაუთხოვარ, ქო-
რწინების გარეშე ბავშვის მშობელ ქალ-
ებს და ჩვენ რომ იქ ჩავედით, დაბეჯითე-
ბით ვთხოვე, დედამისისთვის ყველაფერი
ეამბნა.

დედამისი შეშინდა, უნდოდა, ნათესავე-
ბი შეეკრიბა, რათა საოჯახო საბჭოს გადა-
ეწვიტა, როგორ მოქცეულიყვენ. მაგრამ
გადაიფიქრა და, აი, მან, ბულგარელმა ქა-
ლმა, ნამდვილი დიდობა გამიწვია. მასში,
გლახის ქალში, იყო ის პირველადი რალ-
აც, რაც დედაჩემს აკლდა: ახალგაზრდო-
ბაში თავის სოფელში მას თავი გამოუჩე-
ნია რთულფიგურებიან ფერხულში და
ღვთაებრივად უმღერია ბალადები.

მე ძალიან მომეწონა მისი ოთახის მოკ-
აზმულობა — მოქარგული ბალიშები, ხა-
ლიჩები (ჩემი ჩამოსკლისთვის უნათხოვ-
რით მეზობლებისგან და ახლა აბრუნე-
ბდნენ).



ათნი ვცხოვრობდით ორ ოთახში. მე და ჩავდარს პატარა ოთახი დავვითმეს. მამამისი სვამდა. ოჯახში არაფერი მოჰქონდა. დედამისი დამლაგებლად მუშაობდა. ჩვენ მისი ჯამაგირით ვავჭონდა თავი. ძალზე ხელმოკლე ვიყავით.

მასწავლებლად დაიწყო მუშაობა, იქ ოთხი წელი დავყავი. ყველაფერი ეს უკვე უკან დარჩა. განვლილი დროა. და, თითქოს მე კი არა, სხვას ვაველოს ეს გზა. მეჩვენებოდა, რომ ყველაზე გონივრულ ნაბიჯს ვდგამდი, ჩემს ცხოვრებას ვაწესრიგებდი და კიდევ, ბულგარეთი ხომ საქართველოს ჰგავდა.

ჩავდარბა საკუთარი ბავში მოსურვა, მე გაგაჩინე და იმასაც მამის სახელი — ჩავდარი დავარქვი...

ბოშათა რაიონში ვცხოვრობდით: დილილობით ყოჩები სიმღერა-სიმღერით ჩავვიღვინებდნენ ხოლმე. ქმარმა დამთავრა ინსტიტუტი, ინჟინერ-გამამდიდრებლად დაიწყო მუშაობა. კარგად უკრავდა გიტარაზე. ამხანაგები მოდიოდნენ და ჩვენ ვმღეროდით. ერთი-ორჯერ ისინი უკვე უჩემოდ შეიკრიბნენ. ამხანაგებმა ჩავდარს უთხრეს, მოგვბეზრდაო. მე ჩავდარის სიტბო მაკლდა. მის თავში მხოლოდ ფეხბურთი და ძმა-ბიჭები ტრიალებდნენ. ეტყობა, ჯერ მომწიფებულ კაცი არ იყო. ამა-სთან, ჩემი წარსული აუკვიანებდა. შესაძლოა, იმიტომ, რომ სიცარიელეს, სიცვივს ვგრძნობდი. ვისხენებდი თენგიზს და ისევ რალაცის იმედი მქონდა.

ქმართმა კავშირის გაწყვეტა გადაწყვიტე. ჩემი დედამთილი გაუთავებლად ტირიდა... აგერ უკვე ორი წელია, რაც ის გარდაიცვალა. ყოველ გაზაფხულს ჩავდიოდით მე და ჩემი შვილი მასთან, ნათესავებთან. ჩემი ბიჭი იქ უფრო ბულგარულად გრძნობს თავს, ვიდრე გერმანულად. მე ჩავდარს, სახელდობრ მას, და არა უფროსს, თენგიზს, საქართველოც შევაყვარე. ჩავდარს ხომ მე ვზრდიდი, თენგიზს კი დედაჩემი.

ერთი ჩემი ბერლინელი ოსი მეგობარი დამეხმარა. მისმა ნათესავებმა მიმიწვიეს თავიანთთან იალტაში, თავქუდმოგლეჯით გავჯარდი. ეს იყო ჩემი პირველი ჩასვლა საბჭოთა კავშირში. უფროსი შვილის ფოტოსურათები მოვიმარაგე და ერთადერთი ახრი მიტრიალებდა თავში: მე ის უნდა მომიენახა.

გაუგებარია, მაგრამ ეს ასეა. დედაჩემი განცვიფრებული იყო: „შენ რა, ხომ არ გადაირიე?“

მაგრამ ცხოვრებაშიც ხომ რალაც იცვლება. დროის სულისკვეთება!

იალტიდან ოცდათ კილომეტრზე ცხოვრების უფლება გვქონდა. ჩემი მასპინძელი ოსები დამეხმარნენ — თვითმფრინავში ჩამსიგეს. როცა თბილისში დავეშვით და მიწას ფეხი დავადგი, ლამის დავიჩოქე.

მე ისიც არ ვიცოდი, რომ ის თბილისელია. ასე ხომ ყოველი რუსი მოსკოველია. ვიცოდი, რომ რუსთაველის ძეგლი ღვას რუსთაველისავე მოედანზე. და აი, ვდგავარ მე აქ, ამ მოედანზე, მოხდენილი შავი კაბა და მოღორი ქვედაწელი პლისე... მაცვია. ხელში მხოლოდ ჩანთა მიკავია, დანარჩენი იალტაში დავტოვე.

ყველაფერი ჯადოქრულად სწრაფად ხდებოდა. ავტობუსში ჩავჯექი, მძლოლი სარკეში ხედავდა, როგორ ვლელავდი. შეკითხა, საიდანა ხართო. „ბერლინიდან“ — მეტი. „ჩვენნიდან თუ იმათიდან?“ „დედოკრატულიდან“ ვუპასუხე.

მძლოლი ავტობუსიდან ჩავიდა, ტაქსი მოძებნა. ფული ვადაუხვდა. ვააფრთხილა, რომ მივეყვანე ადგილზე, მისი ნომერიც ჩაიწერა.

ტაქსისტმა მიმიყვანა იმ მისამართზე, რომელიც იალტაში მომცეს — აქაც ოსები მმასპინძლობდნენ. მათთან წერილი არ გამოუტანებიათ. მათთვის არაფერი დამიმალავს, გულწრფელად ვუთხარი ყველაფერი. ღამე ვერ დავიძინე. ჩემს მასპინძლებს ესმოდათ, რომ ცოტა დრო მქონდა და დაუყოვნებლივ უნდა ემოქმედათ. მათი ქალიშვილი დილით სამისამართო ბიუროში წამყვა. გამოირკვა, რომ ბიუროში წყალი შევარდნილა და შესასვლელი ვადაუქეტავთ.

დავბრუნდით ავტობუსის გაჩერებაზე და ვიდექით შელონებულნი, არ ვიცოდით, რა გვექნა. — ამ დროს მხარში ამოგვიდგა ვიღაც ჭალარა, ლიანაცრისფერშარვლიანი და თეთრპერანგიანი კაცი. თბილისის ერთ-ერთი საავადმყოფოს მთავარი ექიმი ყოფილა. ჩემი მდგომარეობა რომ გაიგო, დამამიედა: „არა უშავს, მოვეძებნით ვინმე ნაცნობს, ვინც იმათ ყუთებს გამოალებსო...“ და ბიუროსკენ გაემართა. ვიდექით და ვვლოდით. მოვიდა, ოთხი ფანიაშვილის მისამართი მოიტანა.

მთავარი ექიმი, თურმე, სასადილო შესვენებაზე გამოსულა ქუჩაში. მაგრამ ახლა ჩემთან ერთად ჩაქდა ტაქსი და დავუყევით იმ მისამართებს. სამგან ბედმა გვიმტყუნა — ფანიაშვილები კი დავგვდენენ, მაგრამ თენგიზს არ იცნობდნენ. ამა-სობაში ნახევარი დღე გავიდა. საავადმყოფოდან გამოსულ ექიმს უნდოდა ტაქსის ფულის გადახდა. „არ გამოგართმევთ, — უთხრა მძლოლმა, — ჩვენ ბავშვის მამა უნდა მოვნახოთ?“

ექიმმა ითხოვა, ხვალ მეც გამოყოლიეთ, რათა მამა ერთად ვიქებოთო.

დილით ის ექიმი და იმ ტაქსის მძლოლი მოგვადგნენ და ოთხივენი დავადექით გზას.

ბოლო მისამართი გვქონდა დარჩენილი. გვითხრეს: კი, აქ ცხოვრობს ფანიაშვილი, სტუდენტია და შაბათ-კვირას მცხეთაში, ნათესავებთან დადისო.

არადა, სწორედ შაბათი იყო და ჩვენ გავემართეთ იქით, მცხეთაში. თბილისიდან მცხეთამდე ოცი კილომეტრია.

გაჩერდით ქალაქის საბჭოსთან, ან, შესაძლოა, ის რაისაბჭო იყო, არ ვიცი. საბჭოს თავმჯდომარემ გვითხრა: „რაკი ასეთი შემთხვევაა, შემძლო ყველა რაისაბჭოს თავმჯდომარისთვის შეკითხნა, სად ცხოვრობს ეს კაციო“. მაგრამ ჩვენ გვინდოდა, მხოლოდ მცხეთაში მოგვეძებნა ერთი ფანიაშვილი. აქ კი ჩვენ სტუდენტზე ცნობები არ ჰქონდათ.

შენობიდან გამოვედით. სხვა გზა არ იყო, თბილისში უნდა დავბრუნებულიყავით. მე გული მეუბნებოდა „რაკი აქ არის ასეთი ოჯახი, ხომ შეიძლება, რომ მის რომელიმე წევრზე ვინმეს რამე გაეგონოს?“...

ამ დროს, ვხედავთ, სამი ახალგაზრდა მოდის. მე იმათ ვეკითხები, ფანიაშვილები სადა ცხოვრობენ-მეთქი.

— ფანიაშვილები ჩვენა ვართ — ორი ძმა და ერთი ც და.

გამოკითხვა დავუწყე. ისინი თენგიზს არ იცნობდნენ. სახელგანთქმული მეყვავილის, ამ ადგილის ძველი მკვდრის, პაპა მამულაშვილის ბაღში წამიყვანეს. პაპა შემოგვიერთდა, ჩვენი ამბავი მოისმინა.

მის ბაღში კუნძებზე ვისხედით. თენგიზზე მანაც არაფერი იცოდა. მამინ ქალიშვილმა, აი, ორ ძმას რომ ახლდა, ძმანს თქვა: „აბიკოსთან ვაქციევი. შესაძლოა, ის ჩემი ნობელის იმ თენგიზს თბილისში“.

ისინი ერთად დაბრუნდნენ. აბიკოს თერთი პერანგი ეცვა. თავდაჭერილი, გამხდარი, შავთმიანი ყმაწვილი იყო — სწორედ ის სტუდენტი, რომელზეც თბილისში გვითხრეს, ეგ მცხეთაშია, ნათესავებთანო. ქართულად აუხსენეს, რაც ხდებოდა.

— ძალზე ახლოს არა, ისე კი ვიცნობ ჩვენი გვარის ერთ ოჯახს თბილისში — თქვა აბიკომ. — მათი უფროსი სამხედროა, საზღვარგარეთ იყო ადრე. მფრინავია.

ეს ვავიგონე თუ არა, მაშინვე დავიჩოქე...

— იმაზე ამბობ, იმაზე. ეს ისაა...

ყველა ატრდა, პაპა მამულაშვილიც კი. ატყდა ერთი აურხაური. ფეხზე წამოძაყინეს...

მარანში ჩამიყვანეს. შეიძლებოდა სულ სხვაგვარად ყოფილიყო საქმე. მაგრამ ყველას უნდოდა, დაეჭერებინა, რომ ჩემი თენგიზის მამას მიაგნეს.

მარანი პირქუში, ძველებური შენობა იყო. გრძელი მაგიდა. მწვანილი. ღვინო მუქ ბოთლებში. შამპანური საიდანაც კუთხიდან მოგვართვეს. აქ იყვნენ ექიმიც, მძლოლიც, აბიკოც, ის სამნიც და ჩემი მასპინძლის ქალიშვილიც, ჩემი თენგიზის შორეული ნათესავი, სახელად მერაბი. — კიდევ რამდენიმე კაცი. არც ჰამა შემეძლო, არც სმა. იმათ სიმღერა დაიწყეს, ძველებურ ჰიმნს მღეროდნენ. მე ვიჯექი. ისინი კი ყველანი ფეხზე იდგნენ და ჩემს პატივსაცემად მღეროდნენ.

არ შემიძლია გადმოგცეთ, რას ვგრძნობდი. რაინდულ შუა საუკუნეებში ამოყვავი თავი. გარშემო თითქოს ჩემი ვაჟიშვილის შორეული წინაპრები ახმიახდნენ. ეს ძალზე ამაღლებული რამ იყო.

ამის შემდეგ სეტიცხოველში, ყველაზე მთავარ ტაძარში შევედით. ეს ქართველთა წმიდათაწმიდა სალოცავია.

მათ მიჩვენეს, თუ საიდან იყვნენ ჩემი ვაჟიშვილის მამა-პაპანი. მას აქეთ ჩვევად მექცა: როცა საქართველოში ჩამოვდივარ, ჯვარს აუცილებლად მოვიხანებებ ხოლმე.

თქვენ მეკითხებით, საავადმყოფოს მთავარი ექიმი რა იქნა? ო, ის იმ დღის ნათელში განხვდა.

თბილისისკენ გავემართეთ. გზაზე აბიკომ გვიამბო, რომ ამ ოჯახის დედა მერე მშობიარობას ვადაწყვა. ბავშვი — ვაჟიშვილი გადარჩა, და ეს უმცროსი, გივი, მულტისკეროვნითა ავადო.

აბიკოს უნდოდა, ავადმყოფი შეემზადებინა. თან ისიც ვაგეო, თენგიზი ერქვა თუ არა მის ძმას სახელად და გერმანიაში თუ მსახურობდა. თუ მსახურობდა, როდის, რომელ წლებში.

და აი აბიკომ ყველაფერი გამოიკითხა. მაშინ გვიც უთხრა, რომ აქ იმყოფებოდა მისი ძმის ნაცნობი და თუ შეიძლება, ცოტა ხნით მოვიდესო. რა თქმა უნდაო, მიიღო პასუხი.

როცა მე ის დავინახე... ჩემი ვაჟიშვილი დავინახე... ისე და იმდენად ჰგავდნენ ერთმანეთს, ჩვენ სამნი ვუსხედით მაგიდას მის ოთახში, ის ჩემი ვაჟიშვილის ბიძა იყო. სინანული გამოთქვა, რომ ჩემი

გამოყოლა არ შეეძლო. ძმის, თენგიზის, ფოტოსურათი მომცა, როგორი ძვირფასი ძღვენი იყო ეს ჩემთვის. ჩემს შვილსა და დედაჩემს ვუჩვენებ — აი ის, მამა, ის არსებობს, ცოცხალია. — მოჩვენება არაა!

ფოტოსურათი მომცა და დასძინა: — ინგრიდ, თქვენ გაემგზავრეთ. ის ახლა ოჯახთან ერთად ისვენებს. მე თქვენ ყველაფერს მოგწერთ.

მე არ შემიძლო გამგზავრება. მეტიმეტად დიდხანს მომიხდა ლოდინი. როგორ, მე ის დანახვით მაინც არ დავინახო?

მეორე დღეს ისევ მივედი მე იქ ჩემი მასპინძლების ქალიშვილთან ერთად. გივი, ავადმყოფი კაცი, კიდეც მთხოვს, გაემგზავრეთო.

ასეც უნდა მოვქცეულიყავი, რათა ის არ დამეტანჯა.

და მე წასვლა გადავწყვიტე. ეს ჩემი აქ ყოფნის მესამე დღე იყო. დილით მესმის: „ინგრიდ“. მოტოციკლეტით ჩამოვიდნენ მცხეთიდან აბიკო და მერაბი, თენგიზის ის შორეული ნათესავი, მარანში რომ შემოგვიერთდა. ჩემი ოსი მასპინძლები არ მიშვებდნენ. მერაბმა და აბიკომ განუცხადეს: „ეგ ჩვენია და ჩვენთან უნდა წამოვიდესო!“

წაყვივი მათ და უცებ ვიგრძენი, რომ ის იქ, თავისთან იყო. ეს ნათელხილვა გახლდათ. სახლს მივაღვიძრეთ. მერაბი გივისთან ავიდა, რომ ის არ აღელვებულებოდა, თუ ჩვენ ყველანი გაუფრთხილებლად შევიდოდით. მალე დაბრუნდა.

— გველოდებიან!

და მე და მერაბი სახლში ავედით. შემოვიდა ყმაწვილი, ჩემი ვაჟიშვილის სიმალისა. მაშინვე მივხვდი, რომ ეს მისი შვილი იყო. შემდეგ მისი ცოლიც გამოჩნდა. სუსხიანი თვალებით შემომხედა და უჩემოდ იკითხა, ვინ ვიყავი მე, და საიდან ჩამოვსულვარ?

გივი გამოვიდა და ჩუმად მითხრა: „გამაგრდი, ინგრიდ — ჩემი ძმა მოდის“.

კარი რომ შემოაღო, მე ჩემი დამემართა.

— ოჰო, შენ სულ არ გამოცვლილხარ, — გაღიმიებული მიყურებდა. ჩემი ჩამოსვლა მას მისმა ავადმყოფმა ძმამ შეატყობინა წინასწარ.

გივი და მერაბი ატირდნენ. და ამ დროს სუფრასთან მიგვიწვიეს.

სუფრა მზიარულობდა. ჩუთათისიდან ჩამოსულა მასპინძლის და, მუსიკოსი. ისიც შემოგვიერთდა. მხოლოდ ჩვენ ოთხმა ვიცოდით, რაც ხდებოდა: მან, მე, ავადმყოფმა ძმამ და მერაბმა, მათმა მცხეთელმა შორეულმა ნათესავმა. ისინი ჩემს გამო გახდნენ ასე ახლო ნათესავები. მაშინ მერაბმა ჩააგონა თენგიზს: რამე მოიგონე, ოლონდ, ეგ ერთხანს დარჩეს, ეს შენი სტუმართმოყვარული მოვალეობააო.

და მე იქ ორი დღე დავრჩი. ეს მათი მშობლების სახლი იყო. იქ ვნახე თენგიზის დედის პორტრეტი, მოვასწარი თენგიზისთვის ჩვენი შვილის სურათის გადაცემა... მერე მერაბმა და აბიკომ მცხეთაში წამიყვანეს.

თენგიზმა კიდეც სამჯერ მოახერხა ჩემი ნახვა. სამჯერვე სინანულით მითხრა, შენს წინაშე დამნაშავე ვარო.

— არა შენ არა ხარ დამნაშავე. დრო იყო ისეთი-მეთქი, — ვუთხარი, როცა თხუთმეტი წლის განშორების შემდეგ პირველად შევხვდი.

მაინც არ მიხლოდა, მისთვის ტკივილი მიმეყენებინა. მანსოვს და, ძვირფასი რა-

მა ჩემთვის ის, რომ მას არც ერთხელ არ უთქვამს, რომ შენი შვილი ჩემი შვილი არ არისო. მაგრამ სულ ეგ იყო, და დაკარგვით კი დავკარგე.

ერთი ადამიანი დავკარგე, მაგრამ დიდი ოჯახი შევიძინე. აი, ეს ნიშნობის ბეჭედი, რომელსაც ვატარებ, სწორედ მაშინ მაჩუქა და თითზე გამიკეთა მერაბმა: „შენ ჩვენი რძალი ხარო!“ ის უკვე მაშინ ჭალარა იყო, თუმცა, ორმოცი წლისა თუ იქნებოდა. მალდა, გამხდარი, მწვრთნელად მუშაობდა. აბიკო ფიზკულტურის ინსტიტუტს ამთავრებდა. შემდეგ იმანაც მწვრთნელად დაიწყო მუშაობა. სპორტში რატომღაც არ გამოუვიდა და ახლა ქარხანაში მუშაობს. დაოჯახდა და ორი შვილი ჰყავს.

მგონი, გითხარით: ის ჩემი უძვირფასესი მეგობარი იყო და, როცა კი ჩავდიოდი საბჭოთა კავშირში — მოსკოვში, იალტაში, ყოველთვის ჩემს გვერდით გაჩნდებოდა ხოლმე.

მერაბი მის მიერვე მცხეთაში, მტკვარზე აშენებულ სპორტულ ბაზას ხელმძღვანელობს. იმ დღეს, როცა მე მაცილებდნენ, ბაზის ახლომალხო მოყვავილი თეთრი ვარდები სულ ჩემთვის დაკრიფა. მე ამდენ ვარდს ორ ხელშიც ვერ ვიტევდი და მასთან განშორებისას გულამოსკვნით ვქვითინებდი. სულმთლად ვარდებში ჩაძირული დაგბრუნდი შინ. ჩემს სიცოცხლეში ამის მსგავსი მანამდე არაფერი მინახავს.

გივი უკვე სამი წელია გარდაიცვალა. მას უნდოდა, ჩემი ვაჟიშვილი ეშვილებინა. მე გიუბნებოდი, რომ ისინი ძალიან გავდნენ ერთმანეთს. გივის ჩემი ბიჭი მხოლოდ ფოტოსურათზე ჰყავდა ნანახი. ის გონებახათელი, ყველასთვის საყვარელი ადამიანი იყო.

მხოლოდ ჩემი შვილის მამა — თენგიზი არ უყვარს არავის. ის ყველასთან განდგომილია. შესაძლოა, მას თვითონაც არ უყვარდეს თავისი თავი. იქნებ, ესმის, რომ ყველამ იცის მისი შვილის ამბავი და მისგან მამურ სიტბოს მოითხოვენ. ეს მე დავუძიძიე მას ცხოვრება. ის უკვე გამიზნის. ერთ-ერთი ჩემი უკანასკნელი ჩამოსვლის დროს მამაკაცებმა ძალდატანებით ჩამსვეს მანქანაში, რათა მას დავენახე.

როცა მის სახლში ორი დღე დავყავი, იქ ერთი ცოლ-ქმარი მოდიოდა და მე რატომღაც მომეჩვენა, რომ იმ ქალსა და თენგიზს შორის რაღაც უნდა მომხდარიყო. და აი, სინამდვილეში, ის ცოლს გაყრია

და თურმე იმ ქალთან ცხოვრობს. ახლაც სულ წუწუნებს: სულ რაღაც ტყეა. ხან ქალს აბრალებს, ხან შვილს. ჩივის რომ აღარავინაა მისი დამამხრებელი შვილიც გაულოთდა.

— თენგიზ, შენ ჩემს გამო ხარ ამ დღეში! ჩემი სურვილი იყო, რომ ჩვენ ურთიერთობა გვექონოდა ერთმანეთთან. მიხლოდა, მას ენახა თავისი ვაჟიშვილი. არ ინდობა! ჩემმა ვაჟიშვილმაც უარი გამომიცხადა საქართველოში ჩასვლაზე, რაკი მამა არ იწვევდა და არც თვითონ ჩამოდიოდა მასთან...

კიდეც კარგი, რომ „ის“ არსებობს. ამიტომ ვოცნებობ კიდეც: მოვხვდე მის მიწაზე, მოგვანახო „ის“. და, შესაძლოა, იმიტომ, რომ უკეთესია მიზნისკენ მიმავალ გზაზე იდგი, ვიდრე მიზანს მიაღწიო: მე ისევ ველი რაღაცას, ველი...

ხშირად ვფიქრობ: რამდენი სიკეთის დამნახველი ვარ. ეს იმიტომ, რომ საქართველო კი არ შევიძულე, არამედ პირიქით, შევიყვარე. იმის სანაცვლოდ, ვინც დავკარგე, ვიპოვე მთელი ქვეყანა — ძვირფასი, ამაღლებული სულის მქონე ადამიანებით. ახლა მე ყოველ წელიწადს მათთან ვარ და ისინიც ჩამოდიან ჩემთან.

ამ ადამიანებმა თვალწინ გადამიშალეს მთელი სამყარო, ამაყი, რაინდული ქვეყანა. მათ გამაგებინეს, რა ადვილია ის, რომ ასე კეთილი და ამნაირად გულუხვი იყო. იქ, საქართველოში, ცხოვრობს თენგიზის გარეთა ბიძაშვილიც. ისინი ადრე ერთმანეთს არ იცნობდნენ. უკვე გითხარით, რომ მათ ჩემს გამო იპოვეს ერთმანეთი: ნათესავეებმა და სახლიკაცებმა გაიციეს და აქვე მისვლა-მოსვლა. და ის გარეთა ბიძაშვილი, ის პატიოსანი და კეთილშობილი კაცი, ძალზე ზრუნავს ჩემზე და ჩემს შვილებზე. მისი ქალიშვილი, მანანა, გოეთეს საზოგადოების ყველაზე ახალგაზრდა წევრია და მალე ჩვენთან ისწავლის. ველოდები მე მანანას, აქ, ჩემთან, ჩემს ოჯახში...

მოსკოვიდან დავურეკე ინგრიდს: „გვარი შევცვალე. მაგრამ მოთხრობა თუ დაიბეჭდება, მაშინ რა ვქნა? თენგიზის სახელის შეცვლას ვფიქრობ.“

და ბერლინიდან შორს მყოფი ინგრიდის ხმა გავიგონე: — არა, არა. რატომ უნდა შეცვალო? ეს ხომ ლამაზი სახელია... თენგიზი!

თარგმანა ჯუმაგა თითხარია.



1789-1794 წლების საფრანგეთის დიდმა ბურჟუაზიულმა რევოლუციამ წყალგამყოფი დაუღო ძველსა და ახალ სამყაროს. მეფის ხელისუფლება დემოხრატიზაციის ყველა რეალური სახელი კლასი — ბურჟუაზია, რომელმაც გადაწყვეტი ბრძოლა მოიგო, მარული პოლიტიკური ბატონობის გზას დაადგა. არახული გაქანება პოვა დემოკრატიზაციის პროცესში ცხოვრების ყველა სფეროში. პირველ ეტაპზე, 1789-1791 წლებში, საფრანგეთი კონსტიტუციურ მონარქიად იქცა. მომდევნო წელს რევოლუცია კიდევ უფრო წინ წავიდა — თავი მოკვეთეს მეფეს, გამოცხადდა რესპუბლიკა. მძლავრი გაქანება მიეცა ისედაც აღმავლობის გზაზე მდგომ მთელ რიგ სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენებს. 1793 წელს ხელისუფლების სათავეში მოსულმა იაკობინურმა მთავრობამ გაბედულად წამოაყენა ჰუმანიზმის საერთო-საკაცობრიო პრინციპები. მეფის დამხობა, კონსტიტუციის მიღება, რესპუბლიკის გამოცხადება — ყველაფერი ეს იმ დროს თავისუფლებისა და თანასწორობისათვის ბრძოლის აბოვეას წარმოადგენდა. რევოლუციამ სრულად ამოწურა ყველა სუბიექტური და ობიექტური ფაქტორი. უფრო მეტის მიცემა ხალხისათვის მას უკვე აღარ შეეძლო.

საფრანგეთში მიმდინარე რადიკალურმა გარდაქმნებმა გაურკვევლობა, შიში და სიძულვილი გამოიწვია ევროპის თავდაზნაურულ არისტოკრატიაში. რეაქციული ევროპა მზად იყო, სისხლში ჩაეხშო საფრანგეთის რესპუბლიკა, რომელიც თავისი მოქმედებით სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში იწვევდა ძველ სამყაროს.

საფრანგეთის რევოლუციის ჰყავდა თვალსაჩინო ლიდერები, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა მაქსიმილიან მარე იზიდორ რობესპიერი (1758-1794), თანამედროვეებმა „მოუსყიდველი“ რომ უწოდეს.

ვინ იყო რობესპიერი? ახალი დროის სასწაულმოქმედი, ბედისმადიებული რომანტიკოსი, თუ მძვინვარე ავანტიურისტი? აქვე ვიტყვი, რომ მისი სახელისთვის რატომღაც ისეთი პატივი არ მიუგიათ საფრანგეთში, როგორც ეკუთვნის.

რობესპიერისათვის პირადი ცხოვრება არ არსებობდა. საკუთარ დამსახურებაზე იგი არასოდეს ლაპარაკობდა. და ეს მაშინ, როდესაც რევოლუციის მოღვაწეები მირაბო, ლაფაიტი, ბრისო და სხვები დაუფარავ პატივმოყვარეობას ავლენდნენ 1794 წლისთვის, როდესაც რობესპიერი რევოლუციური მთავრობის ერთ-ერთი მეთაური და ფაქტობრივად მთელი საფრანგეთის ბედის გამკითხავი იყო, მას ერთი უბრალო ხის ოთახი ჰქონდა დაქირავებული დურგალ მორის დიუპლესთან. არც საკუთარ ბედნიერებაზე უზრუნია. მან წლების მანძილზე ვერ მოახერხა დიუპლესს ქალშვილზე დაქორწინება.

რობესპიერის ცხოვრება რევოლუციისწინა პერიოდში მინცდამაინც არაფრით იყო საინტერესო. იდეურ-პოლიტიკურად, როგორც რევოლუ-

გაქსივილიან რობესპიერი

რევოლუციონერი და მოქალაქე

ციონერი და დემოკრატი, იგი XVIII საუკუნის 80-იან წლებში ჩამოყალიბდა, მაგრამ მშობლიურ ქალაქში — არასწორად პერსპექტიულ იურისტად და გონებამახვილ პუბლიცისტად ითვლებოდა. მისი იდეური მოძღვარი იყო დიდი ფრანგი განმანათლებელი ჟან ჟაკ რუსო.

რობესპიერი, როგორც პოლიტიკური მოღვაწე, დაიბადა რევოლუციის დაწყებამდე ერთად, ხოლო როგორც პოლიტიკური ლიდერი და სახალხო ტრიბუნი იგი ოდნავ მოგვიანებით გამოჩნდა. ამ მოკლე დროშიც კი მან უსაზღვრო სიყვარული და ავტორიტეტი მოიპოვა პარიზში, მთელს საფრანგეთში, დემოკრატიულად მოაზროვნე ევროპელებში, რევოლუციის თანამგრძნობ უცხოელებში. რობესპიერი 34-36 წლისა იყო, როდესაც სრული სახით წარმოჩნდა, როგორც პროფესიონალი რევოლუციონერი, სახალხო საქმიანობის თავდადებული მებრძოლი და მგზნებარე პატრიოტი. ამასთან მთელი წინა ათწლეულები დასჭირდა იმას, რომ ორ წელიწადში იგი საფრანგეთს მოვლენოდა რევოლუციის გენიად.

რევოლუციის მსვლელობისას არ ყოფილა რაიმე კარდინალური საკითხი, არასულ ადვოკატს მასზე თავისი აზრი რომ არ გამოეთქვას, მათი გადაჭრის ყველაზე რადიკალური გზები არ დაესახოს. რობესპიერის პოლიტიკური მოღვაწეობა ძირითადად კონცენტრირებული იყო სამი მთავარი იდეის ირგვლივ. ესენი იყო სახალხო სუვერენიტეტის (სახალხო ხელისუფლების), პოლიტიკური თანასწორობისა და ევალუტარიზმის (სოციალური თანასწორობის) იდეები. მათი განხორციელებისათვის ბრძოლის გზაზე ის დაურიდებლად ამხედდა და ანგარიშს უსწორებდა რევოლუციის მტრებს. მას სწამდა, რომ ამ ბრძოლაში ერთი რომელიმე სოციალური ჯგუფის სახელით კი არა, არამედ მთელი ფრანგი ხალხის, პლემბურ-დემოკრატიული მასების სახელით ჰქედდა სამართალს. კომპრომისი რევოლუციის მოწინააღმდეგეებთან მის შეგნებაში უტოლდებოდა ერის, ხალხის, სამშობლოს დღეს; მას სწამდა, რომ ხალხის ყველა მსახური სწორედ ასე უნდა მოქცეულიყო და არა სხვანაირად.

რობესპიერის რევოლუცია თავისი ცხოვრების არსად მიაჩივდა და მის შემოქმედ ადამიანებს წმინდანებად აღიქვამდა, რომლებსაც ამ დიდი სოციალური ძვრის მთავარი მიმარ-

თულებიდან არავითარი გადაცდომა არ ევატიებოდათ. რობესპიერი, სიკვდილით დასჯის პრინციპული მოწინააღმდეგე, თვითონ, განურჩევლად ვინაობისა, უყოყმანოდ აწერდა ხელს იმათ სასიკვდილო განაჩენს, წინ რომ ეღობებოდნენ და ამუხრუჭებდნენ მასების რევოლუციურ შემოქმედებას. მისი ამ ურყევი და პრინციპული რწმენის მსხვერპლნი გახდნენ სხვათა შორის თვით რობესპიერის მეგობრები და თანამოსაგრენი ებერი, დანტონი, შამეტი და სხვები.

მაქსიმილიან რობესპიერი ახალი დროის მაცნე რევოლუციონერი იყო. მან 1792-1794 წლების მიჯნაზე შექმნა რევოლუციური მმართველობის მწყობრი თეორია სამოქალაქო ომის მსვლელობის პირობებში. „ეს თეორია ისევე ახალია, როგორც თვით რევოლუცია, რომელმაც მმართველობის სრულიად ახალი წესრიგი დაამკვიდრა. ზედმეტი ამ თეორიის ძებნა იმ პოლიტიკური მწერლების თხზულებებში, რომლებსაც არც კი განუჭვრეტიათ რევოლუცია“, — ამბობდა რობესპიერი. რევოლუციურ მმართველობასა და კონსტიტუციურ წყობას შორის ურთიერთთანაფარდობას იგი შემდგენიარად განმარტავდა: „რევოლუცია — ეს ომია თავისუფლებასა და მის მტრებს შორის, კონსტიტუცია — ეს მიღწეული გამარჯვებისა და თავისუფალი სამყაროს რეჟიმია. კონსტიტუციური მმართველობის მიზანია რესპუბლიკის შენარჩუნება, რევოლუციური მმართველობისა კი — რესპუბლიკის შექმნა“.

ათი-თხუთმეტი წლით ადრე იგივე იდეები, რობესპიერმა რომ იქადაგა, ცვალებადი სახით აღიარა ჩრდილო ამერიკის კოლონიების რევოლუციამ. ამერიკის რევოლუციის მამებმა ჯეფერსონმა, ადამსმა, ფრანკლინმა ძმობის, ერთობის, თავისუფლების, თანასწორობის იდეები ამერიკის კოლონიების განმათავისუფლებელი მოძრაობის დროს ცხოვრებისეულ სინამდვილედ აქციეს, რა თქმა უნდა, ბურჟუაზიული დემოკრატიის ფარგლებში. არასულ ადვოკატს ამ იდეათა დამკვიდრებისათვის ბრძოლა სრულიად განსხვავებულ ისტორიულ პირობებში მოუხდა. ამერიკის რევოლუციის ბელადები დემოკრატიულ იდეებს ამკვიდრებდნენ ჩრდილო ამერიკული კოლონიების უმტკივნეულო სოციალურ გარემოში, სადაც ექსპლუატაცია ძირითადად მხოლოდ ეროვნულ შინაარსს ატარებდა. საფრანგეთში კი ეროვნული პრობლემა



ფაქტობრივად, არ არსებობდა. აქ სოციალური უთანასწორობა თავს იჩენდა აბსოლუტიზმის, ძველი რეჟიმის სახით. რობესპიერი სწორედ ამ ყამირს ტეხდა. მან, ბურჟუაზიული მოთხოვნა საყოველთაო საარჩევნო უფლების განხორციელება რევოლუციის მსვლელობისას. ის ამბობდა, რომ ყველა მოქალაქეს, როგორც უნდა იყოს მისი ქონებრივი მდგომარეობა, უფლება აქვს, მონაწილეობა მიიღოს კანონმდებლობის შემუშავებაში. იმ პერიოდში ასეთი მოთხოვნა უდიდეს პროგრესს მოასწავებდა.

უფლება რევოლუციაზე რობესპიერმა აღიარა პლემბების, დემოკრატიული მოსახლეობის და საერთოდ მთელი მესამე წოდების ცხოვრების მიზნად, მათი შემოქმედებითი გაქანების კულმინაციად. ასე სწამდა რევოლუცია და მისი მომავალი „მოუსყიდველს“, სხვანაირად ფიქარი მას არ შეეძლო და არც სურდა.

რობესპიერი უდავოდ დიდი ბურჟუაზიული რევოლუციონერია. მისი სიდიდე, უპირველეს ყოვლისა, იმაში მდგომარეობდა, რომ იგი იყო „იაკობინელი ხალხთან ერთად“, ხალხის სათავეში და მასთან ერთად წყვეტდა ბურჟუაზიული რევოლუციის ამოცანებს პლემბური მეთოდებით.

საბჭოთა სახელმწიფომ თავისი არსებობის გაორჯობაზე ქვეყნის პოლიტიკური განიზიანებისა და სახელმწიფო მშენებლობის პრაქტიკაში მრავალი ისეთი ინსტიტუტი დაამკვიდრა, რომლებიც პირველად საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს აღმოცენდნენ. ასეთია, მაგალითად, ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ რეკომების ჩამოყალიბება ადგილებზე. რეკომები 1792-1793 წლებში არსებობდნენ შინაგანი და გარეგანი კონტრრევოლუციით გარემოცულ საფრანგეთში, როდესაც იაკობინელები გადადიოდნენ გადამწყვეტ შეტევაზე რევოლუციის მტრების წინააღმდეგ. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ და განსაკუთრებით სამოქალაქო ომის ქარცეცხლიან წლებში წითელ არმიამ შეიქმნა კომისართა ინსტიტუტი. დაახლოებით ანალოგიურ ფუნქციებს ასრულებდნენ კომისრები საფრანგეთის რევოლუციურ არმიამ, როდესაც ისინი ებრძოდნენ ევროპის მონარქთა სამხედრო კოალიციებს იაკობინური ხელისუფლების წლებში. 1918 წლის ივნისში შემარცხნენ ესერთა კონტრრევოლუციური გამოსვლების შემდეგ სახკომსაბჭომ შექმნა სრულიად რუსეთის საგანგებო კომისია საბოტაჟთან, კონტრრევოლუციასთან და საეკლესიასთან საბრძოლველად. საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს ამავე მიზნებით შეიქმნა და აქტიურად ფუნქციონირებდნენ საზოგადოებრივი ხსნის კომიტეტი და საზოგადოებრივი უშიშროების კომიტეტი, რომლებშიც რობესპიერი გადაწყვეტ როლს ასრულებდა.

გიორგი ბეჟუაშვილი,
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.



ეროვნული
ფოტოცენტრი

ჩვენს ფოტოკორესპონდენტს ბონდო დვალიშვილს 50 წელი შეუსრულდა. იგი მუდამ ერთგულად იცავს „დროშის“ ტრადიციებს, აქვეყნებს მაღალპროფესიულ დონეზე შესრულებულ ფოტორეპორაჟებს.

მისი ნამუშევრები „მწყემსი ილია“ (1983 წ.), „რუსთავის მეტალურგიული“ (1985), „ცხენი — ჩვენი მეგობარი“ (1986), „პატარა მეცვლე“ (1986), „ნინო — ათი შვილის დედა“ (1987) და მრავალი სხვა, მკითხველებმა მიიღეს, როგორც ნამდვილი ხელოვნების ნიმუშები. ეს კარგად ჩანს მის ახალ ნამუშევრებშიც, რომლებიც თვით ავტორმა მოკრძალებით შეარჩია ჟურნალის ამ ნომრისათვის.

ვუსურვებთ ჩვენს იუბილარს შემდგომ შემოქმედებით წარმატებებს.

თარხან არჩვაძე

ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გამომცემლობა „ხემმანმა“ დასტამბა ცნობილი ქართველი მეცნიერის რუსუდან მეფისაშვილისა და ვახტანგ ცინცაძის წიგნი „ქართული ხუროთმოძღვრება“.

ნაშრომში ვრცლად და საინტერესოდაა წარმოდგენილი ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების რთული და მრავალფეროვანი სურათი. ტექსტს თან ახლავს მდიდარი გრაფიკული მასალა, მშვენიერი ფერადი სლაიდები.

განსაკუთრებით შთამბეჭდავია წიგნში ჩართული ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლების რუკა, რომელიც დიდი სიყვარულითა და საქმის ცოდნით შეუსრულებია მხატვარ ვაჟა ორბელიანმა.

ამ რუკის ფოტოანაბეჭდს ჟურნალი სთავაზობს მკითხველს.

გარეკანის პირველ და მეოთხე გვერდებზე: კინიზაში. ფოტო ბონდო დვალიშვილისა.

მე-8 ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარგმანად: 1. ფანდური; 8. ქარხალი; 9. „ეგმონტი“; 10. სიმი; 11. ანტრესოლი; 12. ეტნა; 16. მასარი; 19. ვერსია; 20. ბუნკერი; 21. მაჩაბელი; 22. ანტიოქია; 27. სტელაჟი; 29. სენეკა; 30. ანჩარი; 33. აირი; 34. უარაშვილი; 35. ანცი; 38. „ბიშლეთი“; 39. გრადუსი; 40. ალბიონი.

შვეულად: 1. ფელინი; 2. დუნაევსკი; 3. ინგილო; 4. ლაკმუსი; 5. ფხა; 6. როი; 7. სტატუსი; 10. სამბო; 13. ავაზა; 14. „ბრიტანიკა“; 15. რესტორანი; 17. ბუკლეტი; 18. დრენაჟი; 23. კასტა; 24. ფლაგშტოკი; 25. კრივი; 26. ენერჯია; 28. პარნასი; 31. მანტია; 32. კლერკი; 36. ალი; 37. ოდერ.


გადიცვა წარმოებას 17.05.88. ხელმოწერილია დასაბეჭდად 29.06.88. შე 01412. ქალაქის ზომა 70x108¹/₈. გარეკანი, ჩანართი და ტექსტი იბეჭედა ოფსეტური წესით. ფიზიკური ფურცელი 3, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 4,2, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,69, ტირაჟი 50.000 შეკვეთა 1237 ფასი 35 კაპ.


380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კვ ტვი-ის გამომცემლობის სტამბა.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии.

Адрес редакции: 380008, Тбилиси, 8, пр. Руставели, 42.

რედაქციის მისამართი:
380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებათა გამგეების — 93-28-42, რედაქციის სამდივნოსი — 99-54-66.
რედაქციის მისამართი: 380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.





მარტოობა.

ცეკვავს ნატო.

ჩემია ბებია.

გაჩერდი, სურათს გვიღებენ!

ფოტოები გია უამიერაშვილისა.



069336 76056

6 261 / 130

საქართველოს
განათლების
მინისტროს

